საფარი
SAPARI

ალიმენტის განსაზღვრა და აღსრულება

საუკეთესო პრაქტიკის კვლევა

ავტორი: ეკა ლომთათიძე

რედაქტორი: ბაია პატარაია

აღნიშნული კვლევა მომზადდა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის კარგი მმართველობის ფონდის ფინანსური ხელშეწყობით.

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და დიდი ბრიტანეთის მთავრობის ოფიციალურ პოლიტიკას ან შეხედულებებს.

© საფარი/SAPARI

თბილისი
2022

ალიმენტის განსაზღვრა და აღსრულება - საუკეთესო პრაქტიკის კვლევა

სარჩევი

შესავალი *2*

ამერიკის შეერთებული შტატები *4*

ა. ალიმენტის განსაზღვრა 4

ბ. ალიმენტზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება 7

კანადა *11*

გაერთიანებული სამეფო *12*

გერმანია *16*

საფრანგეთი *18*

იტალია *21*

ესპანეთი *22*

პორტუგალია *23*

ლიეტუვა *24*

ჩეხეთის რესპუბლიკა *25*

აღსრულება ევროკავშირში და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში *27*

ა) კეჰო გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (2010/06) 28

ბ) რისტიჩი სერბეთის წინააღმდეგ (32181/08) 30

საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი ალიმენტის ოდენობასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით *31*

დასკვნა *34*

შესავალი

შვილის რჩენის ვალდებულება, მათ შორის მაშინაც, როდესაც ის მშობელთან არ ცხოვრობს, უნივერსალური მოვალეობაა. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ, რათა უზრუნველყონ ბავშვზე ფინანსურად პასუხისმგებელი პირების მიერ ბავშვების რჩენა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ.[1] რეალობაში განვითარებულ ქვეყნებშიც კი ალიმენტდაკისრებული მშობლების ერთი მესამედიდან ნახევრამდე არ იხდის ან სრულად არ იხდის შესაბამის თანხას.[2]

2019 წელს 14 ქვეყნის ბავშვის რჩენის სისტემების შედარებითი კვლევა[3] გამოყოფს იმ ძირითად მიზნებს, რასაც ემსახურება ამ სისტემების მოწყობის პოლიტიკა: ბავშვების მიმართ მშობლების მორალური და სამართლებრივი ვალდებულების წახალისებას დაშორების შემდეგ, ბავშვის უფლებების დაცვას, სიღარიბის შემსუბუქებას, აღსრულების უზრუნველყოფას, გენდერულ თანასწორობას (მეტ თანასწორობას პასუხისმგებლობის განაწილებისას; დედის შემოსავლისა და დასაქმების და მამების მზრუნველობის აღიარებას).[4]

პოლიტიკის ეს მიზნები კონკრეტულ გამოვლინებას პოვებენ სხვადასხვა ქვეყნების ბავშვის რჩენის სისტემების თავისებურებებში. მაგალითად, სიღარიბის შემსუბუქებაზე აქცენტი გამოვლინებას პოვებს იმ საკმაოდ გავრცელებულ ტენდენციაში, რომ ქვეყნები სპეციალურ ფონდებს აფუძნებენ, რომლებიც ავანსის სახით უხდიან მეურვე მშობლებს ბავშვის ალიმენტს და შემდეგ, თვითონ ცდილობენ მეორე მშობლისგან (რომელიც არღვევს თავის ვალდებულებას) მის ამოღებას, რადგან სტატისტიკა აჩვენებს, რომ ალიმენტის გადაუხდელობა ერთ-მშობლიან ოჯახებს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ჩამოსვლის რისკის ქვეშ აყენებს.

გენდერულ თანასწორობაზე შედარებით ახალი აქცენტის გამოვლენაა ის, რომ ზოგიერთი სისტემა ანგარიშობს არა მხოლოდ ერთი მშობლის შემოსავალს, რასაც შინ მყოფი დედის და ოჯახის მარჩენალი მამის ტრადიციული მოდელი უდევს საფუძვლად, არამედ ორივე მშობლის შემოსავალს და მათი წილების პროპორციულად ანაწილებს ბავშვის რჩენის ხარჯებს (ე.წ. "შემოსავლის წილების" მოდელი). ბავშვის უფლებებზე აქცენტის გამოვლენაა ის, რომ ბევრი სისტემა ათვლის წერტილად იღებს,

---

[1] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 27.4, 1989, ხელმისაწვდომია: https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-03/CRC_ge.pdf

[2] Insider, France launched a government service that will take child support payments directly out of parents' bank accounts if they don't pay them, 6 January, 2021, available at: https://www.insider.com/french-government-child-support-payments-service-2021-1

[3] C. Skinner, M. Hakovirta, Separated Families and Child Support Policies in Times of Social Change: A Comparative Analysis, in The Palgrave Handbook of Family Policy (R. Nieuwenhuis, W. van Lancker (eds.)), 2020, at 267, available at: https://link.springer.com/chapter/10.1007%2F978-3-030-54618-2_12

[4] იქვე, გვ. 281-289

ბავშვის რჩენის ხარჯებს, მინიმუმს რაც ბავშვისთვის არის აუცილებელი, აგრეთვე მიისწრაფიან რომ ბავშვის ცხოვრების სტანდარტზე არ აისახოს მშობლების დაშორება, და ბავშვმა მაქსიმალურად ისარგებლოს მშობლების ცხოვრების სტანდარტით.

მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ განხილული ქვეყნების ბავშვის რჩენის სისტემები ბევრი თვალსაზრისით განსხვავდება, ერთი ცალსახად მძლავრი ტენდენცია არის მისწრაფება პროცესის გამჭვირვალობის, განჭვრეტადობისა და ობიქტური საფუძვლის უზრუნველყოფისკენ. შეთანხმება ფორმულებზე და ალიმენტის განსაზღვრისთვის რელევანტურ გარემოებებზე, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ალიმენტის კალკულატორების შემუშავება ამის გამოვლინებაა. ეს საშუალებას აძლევს სასამართლოებს თუ სააგენტოებს დაანგარიშების პროცესში შეამცირონ უთანასწორობა და არაერთგვაროვნება. იმავდროულად, ახალისებს მშობლებს შორის შეთანხმებას, რადგან როცა წინასწარ ცნობილია ბავშვის გარემოებებისა და მშობლების შემოსავლების გათვალისწინებით რას დაადგენს სასამართლო, დიდწილად აზრს კარგავს დავა სასამართლოში ამ საკითხზე.

აღსრულების ნაწილში ცალსახაა ტენდენცია მაქსიმალურად მოხდეს მონაცემთა ბაზების ერთმანეთთან დაკავშირება იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოხდება ალიმენტ-ვალდებული მშობლის იდენტიფიცირება, მისი ქონების იდენტიფიცირება და მაქსიმალურად ეფექტურად მიქცევა აღსასრულებლად (ხშირად სასამართლოს ჩარევის გარეშე). ამას ემატება მშობლების "შერცხვენის", აგრეთვე მათთვის არაქონებრივი უხერხულობების შექმნის მექანიზმების განვითარება (ჯიუტი არგადამხდელების სიების გასაჯაროება, პასპორტის ან მართვის მოწმობის შეჩერება, ა.შ.) გადახდის იძულებისთვის.

აქ მექანიზმების გათვალისწინება მნიშვნელოვანია ქართული კანონმდებლობის შემდგომი განვითარებისთვის, რათა ერთი მხრივ, სასამართლო პრაქტიკა ალიმენტის აღსრულებისთვის იყოს უფრო ობიექტური, უფრო გამჭვირვალე და განჭვრეტადი, ხოლო მეორე მხრივ, აღსრულებისთვის არსებობდეს უფრო ეფექტური და მოქნილი მექანიზმები.

ამ მიზნით ქვემოთ განხილულია ალიმენტის ოდენობის განსაზღვრასა და აღსრულებასთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკები აშშ-ს, კანადის და ევროპის რიგი ქვეყნების მაგალითზე. დამატებით, ბოლო ნაწილში განხილულია საქართველოს რელევანტური კანონმდებლობა და სასამართლოს მიდგომა ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის საკითხზე არსებული პრობლემების წარმოჩენისთვის. მნიშვნელოვანია, რომ სხვა ქვეყნების გამოცდილება გათვალისწინებული იქნეს და ეს ცოდნა საფუძვლად დაედოს საქართველოში ალიმენტის აღსრულების უკეთ ფუნქციონირებადი მოდელის განვითარებას.

ამერიკის შეერთებული შტატები

ა. ალიმენტის განსაზღვრა

1988 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურმა ხელისუფლებამ მიიღო ბავშვის რჩენის აქტი (1988 Child Support Act).[5] ამ კანონის მიღებამდე ბავშვების რჩენის (შემდეგში "ალიმენტის") ვალდებულების მოცულობის განსაზღვრა შტატების კანონმდებლობის სფეროს განეკუთვნებოდა და, როგორც წესი, მოსამართლეთა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში წყდებოდა.[6] 1988 წლის ბავშვის რჩენის კანონით ფედერალურმა ხელისუფლებამ გამოყო დაფინანსება შტატების სოციალური პროგრამებისთვის, იმ პირობით, რომ თითოეული შტატი მიიღებდა ბავშვის ალიმენტის განსაზღვრისთვის სახელმძღვანელო წესებს (შემდეგში "გაიდლაინებს").[7] ფედერალური კანონი მოითხოვს, რომ შტატების გაიდლაინებით ყველა პოტენციურ შემთხვევაში შესაძლებელი იყოს ალიმენტის თანხის დადგენა.[8] ფედერალური კანონი ასევე მოითხოვს, რომ სასამართლომ ალიმენტის შესახებ დადგენილება უნდა მიიღოს გაიდლაინით განსაზღვრული ოდენობის შესაბამისად, გარდა იმ შეთხვევისა, როდესაც მოსამართლე დაასაბუთებს, რატომ არის კონკრეტულ შემთხვევაში გაიდლაინით განსაზღვრული ოდენობა არამართებული.[9]

მიუხედავად იმისა, რომ შტატების გაიდლაინები ერთმანეთისგან განსხვავდება, ისინი ძირითადად სამ მოდელს მიყვებიან. პირველი და ყველაზე გავრცელებული მოდელია "შემოსავლის წილების მოდელი" (35 შტატში, მათ შორის კალიფორნიაში, კონექტიკუტში, ფლორიდაში, ნიო იორკში, მერილენდში, ა.შ.). ამ მოდელის შემთხვევაში, კონსულტანტი აფასებს ბავშვის ზღვრულ ხარჯებს (marginal child expenditures) და შემდეგ ამ ხარჯების დაფარვაზე პასუხისმგებლობას ანაწილებს მშობლებს შორის მათი შემოსავლის პროპორციულად.[10]

შემოსავლის წილების მოდელი ხუთი ძირითადი საფეხურისგან შედგება:

1. თითოეული მშობლის დაუქვითავი და ხელზე მიღებული შემოსავლის განსაზღვრა;

2. თითოეული მშობლის შემოსავლის შეკრება შეჯამებული საერთო შემოსავლის განსასაზღვრად;

3. შტატის გაიდლანის მიხედვით, იმის დაანგარიშება დაჯამებული თანხიდან, რა ოდენობა უნდა განისაზღვროს ბავშვის რჩენისთვის;

4. შტატში კანონმდებლობის მიხედვით გარკვეული თანხების გამოკლება ან დამატება;

---

[5] I. M. Ellman, T. O'Toole Ellman, The Theory of Child Support, 45 HARV. J. on Legis. 107 (2008), at 112
[6] იქვე, გვ. 111
[7] იქვე, გვ. 112
[8] იქვე, გვ. 112
[9] იქვე, გვ. 112
[10] I. M. Ellman, T. O'Toole Ellman, იხ. სქოლიო 5, გვ. 118

5. იმ პროპორციული წილის განსაზღვრა, რომლიც თითოეულმა მშობელმა უნდა გადაიხადოს თავისი შემოსავლიდან.[11]

მაგალითისთვის შეიძლება განხილული იქნეს შემთხვევა, როდესაც მეურვე მშობლის შემოსავალია $1000 და არამეურვე მშობლისა $2000. ამ შემთხვევაში კომბინირებული შემოსავალი გამოდის $3000, ალიმენტი კი საჭიროა ერთი ბავშვისთვის. ამ ეტაპზე მოსამართლე მიმართავს შტატის გაიდლაინების ცხრილს, რომელიც პირობითად ალაბამას შემთხვევაში ასე გამოიყურება:

კომბინირებული დაუქვითავი შემოსავალი	1 ბავშვი	2 ბავშვი	3 ბავშვი	4 ბავშვი	5 ბავშვი	6 ბავშვი
2900	426	660	826	931	1015	1085
2950	431	669	837	944	1029	1100
3000	**437**	677	848	956	1042	1114
3050	443	686	859	969	1056	1129

გაიდლაინის თანახმად, ალიმენტის თანხა უნდა იყოს $437. ეს ძირითადი თანხა უნდა განაწილდეს მშობლებს შორის მათი შემოსავლის მიხედვით: არათანამცხოვრები (არარეზიდენტი) მშობლის შემოსავალი კომბინირებული შემოსავლის 2/3-ს წარმოადგენს ($2000/$3000). შესაბამისად, არამეურვე მშობელი გადაიხდის ძირითადი რჩენის თანხის 437-ის 2/3-ს, რაც არის $291. გასათვალისწინებელია, რომ ძირითად თანხას სიტუაციის მიხედვით შეიძლება დაემატოს ბავშის მოვლის და განსაკუთრებული სამედიცინო ხარჯების თანხები.

შემდეგი ყველაზე გავრცელებული მოდელია „<u>შემოსავლის პროცენტის მოდელი“.</u> ამ შემთხვევაში, შტატი განსაზღვრავს ალიმენტის ოდენობას, როგორც არათანამცხოვრები მშობლის შემოსავლის პროცენტს. აქ იგულისხმება, რომ მეურვეობის მქონე მშობელი პირდაპირ უხდის ბავშვს სარჩოს. ზოგ შტატში ფიქსირებულია შემოსავლის პროცენტი, ზოგში კი პროცენტი იცვლება მშობლების მაღალი ან დაბალი შემოსავლის მიხედვით. ამ შემთხვევაში ანალიზი სამი საფეხურისგან შედგება:

1. განისაზღვროს არამეურვე მშობლის დაუქვითავი და ხელზე მიღებული შემოსავალი;

2. შტატის გაიდლაინის მიხედვით განისაზღვროს შემოსავლის რა პროცენტი უნდა დაუკავდეს მშობელს ბავშვის რჩენის გადასახადისთვის;

[11] M. L. Boland, Your Complete Guide to Collecting, Enforcing or Terminating the Court's Order, 2004, at 34

3. თანხას დაემატოს ან გამოაკლდეს სხვა თანხები შტატის კანონმდებლობის მიხედვით.

მაგალითისთვის ვისკონსინის გაიდლაინების მიხედვით, ერთი ბავშვის შემთხვევაში მშობლის დაუქვითავი შემოსავლის 17% უნდა განისაზღვროს ალიმენტისთვის, ორი ბავშვის შემთხვევაში - 25%, სამი ბავშვის შემთხვევაში - 29% და ოთხი ბავშვის შემთხვევაში 31%.

რამდენიმე შტატი იყენებს „მელსონის მოდელს", რომელიც შემოსავლის წილების მოდელის გართულებული ვარიანტია. ეს მოდელი ითვალისწინებს ორივე მშობლის შემოსავალს და მათ საფუძველზე განსაზღვრავს ცხოვრების ხარჯებისთვის დახმარებას. სასამართლო გადაწყვეტილებაში მელსონის ფორმულა შემდეგნაირად არის განმარტებული:

„ნაბიჯი 1: უნდა განისაზღვროს თითოეული მშობლის შემოსავალი. მელსონის ფორმულა იწყება ხელზე მიღებული შემოსავლის განსაზღვრით. თითოეული მშობლის ხელზე მიღებული შემოსავლის განსაზღვრის შემდეგ, მათ უნდა გამოაკლდეს საკუთარი თავის შენახვისთვის საჭირო თანხა ("თავის რჩენის პირველადი თანხა"). ეს თანხმა წარმოადგენს მინიმალურ ოდენობას, რაც საჭიროა ზრდასრული ადამიანისთვის, რათა დაიკმაყოფილოს თავისი საარსებო საჭიროებები.

ნაბიჯი 2: განისაზღვროს ბავშვების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის საჭირო თანხა. ფორმულის ეს ნაბიჯი გულისხმობს ძირითადი საჭიროებებისთვის თანხის გამოთვლას თითოეული დამოკიდებული პირისთვის. ისევე როგორც თავის რჩენის პირველადი თანხა, პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილების თანხაც წარმოადგენს იმ მინიმუმს, რაც საჭიროა ბავშვის შესანახად საარსებო მინიმუმის დონეზე. სამსახურთან დაკავშირებული ბავშვის მოვლის ხარჯები და განსაკუთრებული სამედიცინო ხარჯები შედის პირველადი რჩენის თანხაში. ბავშვის პირველადი რჩენის თანხა ნაწილდება მშობლებს შორის პირველ ნაბიჯზე განსაზღვრული, მშობლების ხელზე არსებული შემოსავლის მიხედვით...

ნაბიჯი 3: **განისაზღვროს ცხოვრების სტანდარტის დანამატი**. მას შემდეგ, რაც მეორე ნაბიჯში დაანგარიშდება თითოეული მშობლის ვალდებულება ბავშვის პირველადი რჩენის თანხის ნაწილში, ბავშვის მოვლისა და განსაკუთრებული სამედიცინო ხარჯების ჩათვლით, დარჩენილი შემოსავლიდან პროცენტი აგრეთვე გამოიყოფა ბავშვის რჩენისთვის. ცხოვრების სტანდარტის დანამატი საშუალებას აძლევს ბავშვს ისარგებლოს მშობლის ცხოვრების უფრო მაღალი სტანდარტით. .. თუ მშობელს სხვა დამოკიდებული პირიც ყავს ბავშვის გარდა, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის გათვალისწინებული, შესაბამისი პირის პირველადი რჩენის თანხა გამოაკლდება ვალდებული პირის იმ შემოსავალს, რომლიდანაც უნდა დაანგარიშდეს ცხოვრების სტანდარტის დახმარება."[12]

[12] Dalton v. Clanton, 559 A.2d 1197 (Del. 1989), available at: https://law.justia.com/cases/delaware/supreme-court/1989/559-a-2d-1197-5.html

რა არის შემოსავალი, ყველა შტატი ინდივიდუალურად წყვეტს - მაგალითად ზოგ შტატში სოციალური დახმარებები შედის შემოსავალში, ზოგში კი არა; ზოგში ანგარიში ეფუძნება დაუქვითავ შემოსავალს, ზოგში კი ხელზე მიღებულ შემოსავალს. თუმცა, სიები დაახლოებით ერთნაირია. მაგალითად ინდიანას შტატის გაიდლაინის მიხედვით შემოსავალია: ხელფასი, გაწეული მომსახურების ანაზღაურება, ბონუსი, დივიდენდი, პენსია, პროცენტი, შემოსავალი ინვესტიციებიდან, სოციალური დახმარებები, კომპენსაციისთვის მიღებული თანხა, უმუშევრობის დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობის დახმარება, ალიმენტი, სარჩო, ვეტერანის დახმარება, საგანმანათლებლო გრანტები, სტიპენდიები და სხვა ფინანსური დახმარება.[13] ზოგ შტატში, ერთჯერადი შემოსავლებიც გაითვალისწინება: საჩუქრები, პრიზები, საკუთრების გაყიდვიდან მიღებული მოგება, სასამართლოს გადაწყვეტილებით მიღებული თანხა.[14]

სასამართლოები ითვალისწინებენ ხოლმე იმას, რომ ზოგჯერ მშობლები განზრახ ანებებენ მუშაობას თავს, რათა ალიმენტის გადახდა აირიდონ და ამ შემთხვევაში ალიმენტს აფუძნებენ "შემოსავლის მიღების უნარს" (earning capacity), რაც ეფუძნება მშობლის განათლებას, მომზადებას, სამუშაო გამოცდილებას და სამსახურის ხელმისაწვდომობას მშობლის საცხოვრებელ ადგილზე. ამ შემთხვევაში სამი ფაქტორი გაითვალისწინება: მუშაობის უნარი, მუშაობის სურვილი და მუშაობის შესაძლებლობა.[15]

ბ. ალიმენტზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება

მშობლები ხშირად არ იხდიან დაკისრებულ ალიმენტს, არა იმის გამო, რომ შემოსავალი არ აქვთ, არამედ იმის გამო, რომ რაიმე სანქციებს არ მოელიან გადაუხდელობის შემთხვევაში.[16]

აშშ-მ დაიწყო რეფორმის განხორციელება ბავშვთა ალიმენტთან დაკავშირებით 1975 წელს ბავშვთა რჩენის აღსრულების ცვლილებების მიღებით. თუ იქამდე ალიმენტის აღსრულება შტატების საქმე იყო, ამ კანონმდებლობამ დააფუძნა ბავშვთა ალიმენტის აღსრულების ფედერალური სამსახური (Federal Office of Child Support Enforcement) და იმავდროულად თითოეულ შტატს დააკისრა ვალდებულება - დაეფუძნებით მსგავსი სამსახურები შტატის დონეზე. მოგვიანებით, 1988 წელს კი მიღებული იქნა ზემოხსენებული, ოჯახის მხარდაჭერის აქტი. სხვა საკითხებთან ერთად, ნოვაცია იყო ისიც, რომ შტატებს დაევალათ დაეკავებინათ ბავშვების ალიმენტის ოდენობა არა-რეზიდენტი მშობლის ხელფასიდან ან სხვა შემოსავლის წყაროდან, მის მიერ

[13] M. L. Boland, Your Complete Guide to Collecting, Enforcing or Terminating the Court's Order, 2004, at 40
[14] იქვე, გვ. 41
[15] იქვე, გვ. 41
[16] იქვე, გვ. 99

ალიმენტის ვალდებულების შეუსრულებლობიდან ერთი თვის შემდეგ.[17] ამასთან, შესაძლებელი გახდა, რომ სასამართლოს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრასა და დაკისრებასთან ერთად მიეღო ე.წ. "დაკავების ორდერი", რომლის საფუძველზეც შესაბამის მშობელს პერიოდულად ალიმენტის თანხა დაუკავდებოდა დამსაქმებლის მიერ, რომელიც ამ თანხას გადაურიცხავდა პირდაპირ მეურვე მშობელს, ან შტატების ცენტრალურ რეესტრს, რომელიც გასცემს თანხას შესაბამის მშობელზე.

რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადას, ზოგი შტატი საერთოდ არ ითვალისწინებს ამგვარ ვადას გადაუხდელი ალიმენტის ამოსაღებად, ზოგი კი ხანდახმულობის ვადისთვის ათვლის წერტილად იღებს სრულწლოვანების მიღწევას და ბავშვის მიერ სრულწლოვანების მიღწევიდან რამდენიმე წელს განსაზღვავს (მაგ. ალასკა - 10 წელი, აიდაჰო- 5 წელი).[18]

რაც შეეხება უშუალოდ აღსრულების მექანიზმებს, ეს მექანიზმები საკმაოდ მრავალფეროვანია და მათ განვითარებაში გარკვეული როლი შეასრულა იმ ფაქტმა, რომ ალიმენტის აღსრულებას აშშ-ში ართულებს მშობლების გადაადგილება შტატებს შორის და მათი ადგილსამყოფელისა და სამუშაო ადგილის არცოდნა.

1996 წლიდან მოყოლებული ალიმენტის აღსრულებისთვის შემდეგი მკაცრი და ინოვაციური მექანიზმები იქნა შემოღებული:[19]

- *"ძებნილი მშობლები"* - რამდენიმე შტატმა შემოიღო ე.წ. უპასუხისმგებლო მშობლებთან (deadbeat parents) დაკავშირებით კონფერენციების ჩატარების, პრეს-რელიზების მომზადების, ან ცალკე ინტერნეტ-გვერდის შექმნის პრაქტიკა, სადაც განთავსებულია ალიმენტის გადახდისთვის თავის ამრიდებელი, "ძებნილი" მშობლების პოსტერები, რომლებსაც დიდი თანხა მართებთ თავიანთი შვილებისა. ამ შემთხვევაში ხდება მშობლის სახისა, სახელის და გვარის იდენტიფიცირება, როგორც არაგადამხდელი მშობლისა. "შერცხვენის" ეფექტთან ერთად, შეიძლება ამას თან ერთოდეს საზოგადოებისთვის ამ პირთა ადგილსამყოფელის განსაზღვრავში დახმარების თხოვნაც. თუ მათი ადგილსამყოფელი ცნობილია, გამოქვენებამდე უკავშირდებიან მას და საშუალებას აძლევენ აღკვეთონ გამოქვეყნება ერთი თვის თანხას ან გადაუხდელ თანხას (რომელიც უფრო მეტია) მყისიერად გადაიხდის გზით; მშობელმა ასევე აღსრულების ორგანოს უნდა მიაწოდოს მისი ამჟამინდელი მისამართი, დამსაქმებლის მონაცემები და მტკიცებულება, რომ დამსაქმებლის მიერ სისტემატურად მოხდება თანხის დაკავება ბავშვის ალიმენტისთვის.

---

[17] J. Kunz, P. Villeneuve, I. Garfinkel, Child Support among Selected OECD Countries: A Comparative Analysis, in CHILD WELL-BEING, CHILD POVERTY AND CHILD POLICY IN Modern Nations (K. Vleminckx, T. M. Smeeding, eds.), 2001, at 487

[18] M. L. Boland, იხ. ზემოთ სქოლიო 9, გვ. 105

[19] იქვე, გვ. 83

- *ფედერალური პროგრამები შტატიდან გადასახლებული მშობლების საპოვნად* - 1996 წელს შეიქმნა საქმეთა და ახლად დაქირავებულთა ეროვნული რეესტრი შტატებს შორის მოძრავი და არაგადამხდელი მშობლების საპოვნად. ყველა დამსაქმებელს მოეთხოვება ახლად დაქირავებული პირების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ შტატების შესაბამის ორგანოებს, რომლებსაც შემდეგ ეს ინფორმაცია შეაქვთ ეროვნულ რეესტრში, რომელიც აგრეთვე შეიცავს მონაცემთა ბაზას ბავშვების ალიმენტის საქმეების შესახებ 50-ვე შტატიდან. როგორც აღნიშნავენ, ამოქმედებიდან პირველივე 6 თვეში ამ რეესტრის მეშვეობით 90 000 მშობელი იქნა ნაპოვნი, რაც მის ეფექტურობაზე მიუთითებს. აგრეთვე, არსებობს კანონი შტატთაშორის ოჯახების ერთგვაროვანი მხარდაჭერის შესახებ, რაც შტატებს საშუალებას აძლევს, ერთ შტატში გაცემული სასამართლოს გადაწყვეტილება ალიმენტის შესახებ მარტივად აღასრულონ სხვა შტატში და აგრეთვე ინფორმაცია შეიტანონ ალიმენტის საქმეების შესახებ შტატების დონეზე არსებულ ცენტრალურ რეესტრში, რომელიც შემდეგ ინფორმაციას აწვდის ფედერალურ რეესტრს.
- *მშობლების ლოკაციის სისტემები* - ეს სისტემა 1996 წელს შეიქმნა და რამდენიმე სისტემისგან შედგება: ფედერალური საქმეების რეესტრი, ახლადდაქირავებულების ეროვნული რეესტრი, ფედერალური (გადასახადების) ანაზღაურების პროგრამა (Federal Offset Program), პასპორტზე უარის თქმის პროგრამა, ფინანსურ ინსტიტუტებში არსებულ მონაცემებთან დაკავშირება. ეს სისტემა, ფედერალურ და შტატების ორგანოებს აძლევს წვდომას დაბადების, სიკვდილის და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებთან; ფედერალურ და შტატების საგადასახადო ინფორმაციასთან, უძრავი ქონების შესახებ ინფორმაციასთან, სატრანსპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაციასთან, პროფესიული და რეკრეაციული ლიცენზიების შესახებ ინფორმაციასთან, ბიზნეს ლიცენზიების შესახებ ინფორმაციასთან, უმუშევრობის, საჯარო დახმარების მიღების, პოლიციის და სამართალდამცავი ორგანოების ხელთ არსებულ ინფორმაციასთან, კომუნალური გადასახადების გადახდებთან, საკაბელო კომპანიებთან ურთიერთობაზე და ყველა ეს ინფორმაცია ედარება გადაუხდელი ალიმენტის საქმეებს, რაც საშუალებას აძლევს შტატებს მიაგნონ საბანკო ანგარიშებს, ხელფასს, დაბრუნებულ გადასახადებს (tax refund), აგრეთვე ყადაღა დაადონ უძრავ ქონებას.
- *ალიმენტის ამოღება სადაზღვევო კომპანიების მიერ გასაცემი თანხიდან* - არსებობს ბავშთვა ალიმენტის ყადაღის ქსელი, სადაც არაგადამხდელი მშობლების შესახებ ინფორმაცია ედარება სადაზღვევო კომპანიების მიერ გასაცემი თანხების შესახებ ინფორმაციას. თუ აღმოჩნდება, რომ ამგვარი თანხა რომელიმე არაგადამხდელ მშობელს ეკუთვნის, სადაზღვევო კომპანია ამის შესახებ აცნობს შტატის ორგანოს, რომელიც ამ თანხას ამოიღებს ალიმენტის დასაფარად.

- *ფინანსური ინსტიტუტების მონაცემთა ბაზა* - ამ პროგრამის ფარგლებში კანონი ითხოვს ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან, რომ გასცენ ინფორმაცია ანგარიშების შესახებ, რომლებიც შემდეგ დაუკავშირდება ბავშვის ალიმენტის საქმეების მონაცემთა ბაზას. ეს პროგრამა საშუალებას იძლევა იპოვონ არაგადამხდელი მშობლის ფარული ანგარიშები, და თუ კომპიუტერული პროგრამა აღმოაჩენს საქმესა და ანგარიშს შორის შესაბამისობას, შესაბამისი კრიტერიუმის დაკმაყოფილებისას, ანგარიშზე არსებული თანხა მაშინვე "იყინება" - საჭირო აღარ არის მესაკუთრისთვის შეტყობინება და სასამართლოსთვის მიმართვა, რადგან ასეთ შემთხვევაში თანხა ხშირად ქრებოდა ანგარიშიდან და ვეღარ ხდებოდა ამოღება.
- *ლიცენზიის გაცემაზე უარი ან ლიცენზიის დაკარგვა* - ყველა შტატს აქვს რაიმე ვერსია კანონისა, რომელიც მშობლისთვის მართვის მოწმობის გაცემას ზღუდავს ან მოწმობის შეჩერებას ითვალისწინებს, ალიმენტის გადაუხდელობის შემთხვევაში - ეს აქტები "უპასუხისმგებლოები ვერ მართავენ მანქანას" კანონების სახელითაა ცნობილი. ეს წესები ჩვეულებრივ მოქმედებს, როდესაც მშობელი 3-4 თვის განმავლობაში არ იხდის ალიმენტს. მას ეცნობება, რომ თანხის გარკვეულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში შეუჩერდება ლიცენზია. ზოგიერთ შტატში, ეს კანონები მოიცავს არამარტო მართვის, არამედ პროფესიული და რეკრეაციული (მაგ. თევზაობა, ნადირობა) ლიცენზიების შეჩერებასაც.
- *დასაბრუნებელი გადასახადიდან ამოღება* - ყველა შტატი ჩართულია პროგრამაში, რომლის თანახმადაც აშშ-ს ხაზინის დეპარტამენტი აკავებს დასაბრუნებელ გადასახადებს იმისთვის, რომ ამოიღოს გადაუხდელი ალიმენტის თანხა. წელიწადში ერთხელ შტატები აწვდიან არაგადამხდელი მშობლების ვინაობას შიდა შემოსავლების (ფედერალურ) სამსახურს და შტატების შემოსავლების დეპარტამენტს. ეს ორგანოები შესაბამისად ქვითავენ ალიმენტის თანხას დასაბრუნებელი გადასახადიდან და რიცხავენ მას ბავშვის ალიმენტის ანგარიშზე. დადგენილია მინიმალური ოდენობები, რასაც უნდა მიაღწიოს გადაუხდელმა ალიმენტმა იმისთვის, რომ ამ პროგრამის წესები ამოქმედდეს.
- *მომხარებელთა საკრედიტო ისტორიაში შეტანა* - როდესაც მშობელი არ იხდის ალიმენტს, მის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიაწოდონ მომხმარებელთა საკრედიტო ბიუროებს, რომლებიც აგროვებენ საკრედიტო ისტორიის შესახებ ინფორმაციას. გადაუხდელი ალიმენტის სახით ვალის არსებობა განაპირობებს იმას, რომ ეს პირები ვეღარ მიიღებენ სესხს ან საკრედიტო ბარათებს.
- *საკუთრების ყადაღა* - ზოგიერთი შტატი უშვებს უძრავი ქონების დაყადაღებას და გაყიდვას გადაუხდელი ალიმენტის ამოსაღებად. ბავშვების ალიმენტის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება მოქმედებდეს, როგორც ავტომატური ყადაღა მშობლის უძრავ ქონებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ვერ გაყიდის სახლს, სანამ გადაუხდელი ალიმენტის თანხა ეკისრება. როდესაც გადაუხდელი თანხა მნიშვნელოვან მოცულობას აღწევს, შეიძლება მეორე

მშობელმა მოითხოვოს უძრავი ქონების დაყადაღება და გაყიდვა, თუმცა ამ მექანიზმის მოქმედებისთვის გარკვეული შეზღუდვები მოქმედებს.

- *პასპორტები* - ფედერალური წესების მიხედვით, პასპორტის განაცხადი უარყოფილი იქნება, თუ მშობელს გადაუხდელი ალიმენტის სახით 5000 დოლარი ან მეტი მართებს შვილის მიმართ.
- *სასამართლოს უპატივცემულობისთვის პასუხისმგებლობა* - ისტორიულად ეს ყველაზე გავრცელებული საშუალება იყო ალიმენტის ამოღებისა. თუ მშობელი არ ემორჩილება სასამართლოს გადაწყვეტილებას ალიმენტის შესახებ და არ შეუძლია დაამტკიცოს, რომ 1. არ იცოდა სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ; 2. არ შეეძლო გადახდა; ან 3. გადაუხდელობა არ მომხდარა განზრახ, მას შეიძლება დაეკისროს პატიმრობა, სანამ არ გადაიხდის შესაბამის თანხას.
- *სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა* - განზრახი გადაუხდელობის ყველაზე ცუდ შემთხვევებში შტატები იყენებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. იმის გამო, რომ პერიოდულად ტარდება ოპერაციები მძიმე შემთხვევების მიმართ და ამგვარ მშობლებს აპატიმრებენ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რისკი რეალურად აღიქმება. ამავე დროს თუ მშობელი არ უხდის ალიმენტს სხვა შტატში მცხოვრებ შვილს, ეს ფედერალური დანაშაულია. თუმცა ამ შემთხვევაშიც აუცილებელი პირობაა იმის დამტკიცება, რომ მშობელს შეეძლო გადახდა და არ იხდიდა.

კანადა

აშშ-ს მსგავსად, კანადის ბავშვის ალიმენტთან დაკავშირებული სამართალიც იმ პრინციპს ეფუძნება, რომ "ბავშვებმა უნდა შეძლონ ისარგებლონ ორივე მშობლის ფინანსური შესაძლებლობებით ისე, როგორც ეს ხდება მშობლების თანაცხოვრების დროს".[20]

რაც შეეხება ალიმენტის რაოდენობას, ის განისაზღვრება ფედერალური ბავშვის რჩენის გაიდლაინების მიხედვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ორივე მშობელი ცხოვრებს ნიუ ბრუნსვიკში, მანიტობაში ან კვებეკში. ამ პროვინციებს თავიანთი გაიდლაინები აქვთ.

ბავშვის ალიმენტის ოდენობა ძირითადად დაფუძნებულია ოთხ ფაქტორზე: შემოსავალი; ბავშვის საცხოვრებელი; ბავშვების რაოდენობა; პროვინცია, სადაც ბავშვები ცხოვრობენ. ამ ფაქტორების მიხედვით, გაიდლაინები იძლევა ცხრილებს, რომელთა ფორმულაც ეყრდნობა: მშობლების დაუქვითავ შემოსავალს; ცხოვრების ხარჯებს; პროვინციაში მოქმედ საშემოსავლო გადასახადს; და ოჯახში ბავშვების რჩენის ხარჯების საშუალო ოდენობას ეროვნულ დონეზე. შესაბამისად, გაიდლაინებში ყველა პროვინციისთვის განსხვავებული ცხრილია. როგორც წესი,

[20] Divorce Canada, Child Support in Canada, available at: https://divorce-canada.ca/child-support-in-canada

ცხრილებში მოყვანილი ოდენობა არის სავალდებულო და მას სასამართლოები მიყვებიან. გამონაკლისის სახით სასამართლომ შეიძლება დააკისროს მხარეს დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, როგორიცაა ბავშვის მოვლა დღის განმავლობაში, ექსტრა-კურიკულური აქტივობები, საგანმანათლებლო ხარჯები და ა.შ. ამგვარი ხარჯები განაწილდება მშობლებს შორის მათი შემოსავლის პროპორციულად.

მშობლის მიერ ალიმენტის გადაუხდელობის შემთხვევაში, საქმეში ერთვება სპეციალიზებული სააგენტო, რომელსაც ყველა პროვინციაში სხვადასხვა სახელი აქვს (მაგ. ოჯახური პასუხისმგელობის სამსახური, ონტარიოში). ამ სააგენტოებს აქვთ უფლებამოსილება სხვადასხვა მექანიზმი გამოიყენონ გადაუხდელი ალიმენტის ან დაგროვილი გადაუხდელი თანხის ამოსაღებად, როგორიცაა:

- ხელფასის დაყადაღება, ალიმენტის, გადაუხდელი დაგროვილი თანხის და მათზე დარიცხული პროცენტის ამოსაღებად;
- ფედერალური შემოსავლების დაყადაღება, როგორიცაა მაგალითად დასაბრუნებელი საშემოსავლო გადასახადი, ან დასაქმების დაზღვევის ანაზღაურება;
- მართვის მოწმობის ან პასპორტის მოქმედების შეჩერება;
- საბანკო ანგარიშების ან აქტივების ამოღება;
- გადაუხდელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება საკრედიტო ბიუროებისთვის, რაც გავლენას მოახდენს მშობლის საკრედიტო რეიტინგზე.[21]

გაერთიანებული სამეფო

გაერთიანებული სამეფო (ჩრდილოეთ ირლანდიის გამოკლებით) იმ ქვეყნების რიგს განეკუთვნება (ავსტრალია, დანია, ნორვეგია, ახალი ზელანდია), სადაც ალიმენტის ოდენობის განსაზღვრას კანონმდებლობით დადგენილი სქემის მიხედვით (Child Support Act 1991) ძირითადად ახორციელებს ადმინისტრაციული ორგანოები. [22] გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაშია ასეთია ბავშვების რჩენის სამსახური (Child Maintenance Service). ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივ, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით ნაკლები დისკრეცია არსებობს, და უფრო ხისტი ფორმულები მოქმედებს.[23]

ბავშვების რჩენის სამსახური საქმეში ერთვება მაშინ, როდესაც მშობლები ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად შეთანხმებას არარეზიდენტი მშობლის მიერ გადასახდელი ალიმენტის ოდენობაზე. სამსახურის ჩართულობა ორი ფორმისაა:

---

[21] Divorce Canada, Child Support Payment Issues in Canada, available at: https://divorce-canada.ca/child-support-payment-issues-in-canada

[22] ამ სისტემაში ძირითადი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები არიან სააგენტოები და არა სასამართლოები

[23] OECD Social Policy Divison, Directorate of Employment, Labour and Social Affairs, PF1.5: Child Support, available at: ***www.oecd.org/els/social/family/database***

ერთი მხრივ, მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრაში, რაც ქვემოთ აღწერილი პროცედურის მიხედვით ხდება; მეორე მხრივ, თუ მშობელი თავს არიდებს გადახდას ან არსებობს ამის რისკი, ამოქმედდება ე.წ. „შეგროვების და გადახდის სქემა“ (Collect and Pay), რომლის მიხედვითაც გადამხდელმა მშობელმა თანხა უნდა გადაურიცხოს სამსახურს და სამსახური ურიცხავს შემდეგ მიმღებ მშობელს. აღნიშნული სერვისი ფასიანია (გადამხდელი მშობელი ყოველ ჯერზე იხდის შეთანხმებული ალიმენტის ოდენობის 20 პროცენტს, მიმღებ მშობელს კი ეჭრება ალიმენტის 4%). ამ გადასახადის არსებობის გამართლება არის მშობლების წახალისება, თვითონ მოაგვარონ ალიმენტის გადახდის პრობლემა სამსახურის ჩართვის გარეშე.[24]

ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისთვის ამოსავალია გადამხდელი მშობლის ყოველკვირეული დაუქვითავი შემოსავალი. იმისთვის, რომ მშობლებმა დამოუკიდებლად განსაზღვრონ ალიმენტის ოდენობა, სპეციალური კალკულატორი ხელმისაწვდომია სამსახურის ვებგვერდზეც, მაგრამ თუ მშობელი მალავს შემოსავალს, ან სხვაგვარად არ არის თანახმა გადახდაზე, სამსახური შემდეგნაირად განსაზღვრავს ალიმენტს:[25]

- სამსახური მიიღებს ინფორმაციას შემოსავლების და საბაჟო სამსახურისგან გადამხდელი მშობლის წლიური დაუქვითავი შემოსავლის შესახებ. აგრეთვე შემოწმდება, რა ტიპის დახმარებებს იღებს მშობელი (საგადასახადო კრედიტი, სტუდენტური გრანტი და სესხი არ გაითვალისწინება ამ შემთხვევაში);
- სამსახური იკვლევს იმ გარემოებებს, რაც გავლენას ახდენს მთლიანი შემოსავლის ოდენობაზე (მაგ. პენსიის გადასახადი ან სხვა, შესანახი ბავშვების არსებობა);
- ბავშვებისთვის სარჩოს გადახდის განაკვეთები:

დაუქვითავი ყოველკვირეული შემოსავალი	განაკვეთი	ალიმენტის ყოველკვირეული ოდენობა
უცნობი ან დამალული	დეფოლტი	£38 – 1 ბავშვი; £51 – 2 ბავშვი £61 - სამი ან მეტი ბავშვი
£7-ზე ნაკლები	ნოლი	£0
£7 - £100, ან თუ გადამხდელი მშობელი იღებს დახმარებებს	ფიქსირებული განაკვეთი	£7
£100.01 - £199.99	შემცირებული განაკვეთი	დაანგარიშდება ფორმულის მიხედვით
£200 - £3000	ძირითადი	დაანგარიშდება ფორმულის მიხედვით

[24] N. Foley, D. Foster, Child Maintenance: Fees, enforcement and arrears, 4 November, 2021, at 11, available at https://researchbriefings.files.parliament.uk/documents/CBP-7774/CBP-7774.pdf

[25] How the Child Maintenance Service Works Out Child Maintenance, available at: https://www.gov.uk/how-child-maintenance-is-worked-out

თუ გადამხდელი მშობლის დაუქვითავი ყოველკვირეული შემოსავალი £3000-ზე მეტია, მიმღებ მშობელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ალიმენტის ოდენობის გაზრდა;

- ბავშვების რჩენის სამსახური გაითვალისწინებს იმ ბავშვების ოდენობას, რომელთა რჩენის ვალდებულებაც აქვს გადამხდელ მშობელს. აქ იგულისხმება, როგორც ამ მშობელთან მცხოვრები ბავშვები, ისე ბავშვები რომლებთან დაკავშირებითაც მსგავსი გადაწყვეტილებებია მიღებული;
- წინა საფეხურების გათვალისწინებით სამსახური დაადგენს ალიმენტის ყოველკვირეულ ოდენობას;
- ალიმენტის ყოველკვირეულ ოდენობას გამოაკლდება თანხა იმის მიხედვით, კვირაში საშუალოდ რამდენ ღამეს ატარებს ბავშვი გადამხდელ მშობელთან ზრუნვის გაზიარების (shared care) შემთხვევაში.

იმ შემთხვევაში თუ გადამხდელი მშობელი ნებაყოფლობით არ იხდის ალიმენტს, აღსრულების პასუხისმგებლობაც ბავშვების რჩენის სამსახურს ეკისრება, თუმცა აქ მას ორგვარი უფლებამოსილება აქვს: 1. ამოღების უფლებამოსილება, რომელსაც ის დამოუკიდებლად ახორციელებს და 2. აღსრულების უფლებამოსილება, რომლის განხორციელება სამსახურს შეუძლია მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო გასცემს პასუხისმგებლობის შესახებ ბრძანებას (liability order). ორივე ტიპის უფლებამოსილების გამოყენება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბოლო 12 თვის განმავლობაში არარეზიდენტ მშობელს მიეცემა გაფრთხილება დავალიანების შესახებ, და რაიმე შეთანხმება არ იქნება მიღწეული დავალიანების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

როდესაც მშობლებს შორის პირდაპირი გადახდის სქემა მოქმედებს და არა სამსახურის მეშვეობით გადახდისა, მიმღები მშობლის პასუხისმგებლობაა სამსახურს შეატყობინოს გადაუხდელობის შესახებ. ამ შემთხვევაში სამსახური დააკისრებს გადამხდელ მშობელს მისი მეშვეობით გადახდას პირველ რიგში და თუ ეს სქემა არ იქნება ეფექტური, შემდეგ გამოიყენებს ამოღების ან/და აღსრულების უფლებამოსილებებს.

ამოღების უფლებამოსილებები ფასიანია და მოიცავს შემდეგ მეთოდებს:[26]

- შემოსავლიდან დაქვითვის ბრძანება (deduction from earnings order) – ეს ბრძანება გაიცემა გადამხდელი მშობლის დამსაქმებელზე, რათა მან დააკავოს ხელფასიდან თანხა მის გადახდამდე. ამ გზით საალიმენტო დავალიანების ამოღებისას გასათვალისწინებელია, რომ ერთ გადახდაზე მშობლის ხელზე მისაღები შემოსავალი არ უნდა ჩამოვიდეს 60-%ზე ქვემოთ, ანუ სამსახური ვერ მოითხოვს ხელზე მისაღები შემოსავლის 40%-ზე მეტს. რადგან სამსახურს აქვს წვდომა მხოლოდ დაუქვითავ

[26] იქვე, გვ. 22-25

შემოსავალთან, დამსაქმებლის პასუხისმგებლობაა იმის განსაზღვრა, რა თანხას შეადგენს ხელზე მისაღები შემოსავლის 40%.

- შემოსავლიდან დაქვითვის მიმართვა (deduction from earnings request) - იგივეა, რაც ზემოთ განხილული ბრძანება. ეს მეთოდი გამოიყენება მხოლოდ თავდაცვის სამინისტროში დაქმებული პირებისა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა შემთხვევაში.

- დაქვითვის ბრძანება (deduction order) - გამოიყენება ერთჯერადი თანხის ამოსაღებად ან რეგულარული დაქვითვებისთვის გადამხდელი მშობლის საბანკო ანგარიშებიდან. აღნიშნული ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: პირველ რიგში შემოწმდება ამ პირის ინდივიდუალური ანგარიშები, შემდეგ ერთობლივი პერსონალური ანგარიშები და ბოლოს ცალკეულ საწარმოთა ანგარიშები (ინდ. მეწარმის და შეუზღუდავი პარტნიორობის საწარმოთა ანგარიშები). საწარმოთა ანგარიშების შემთხვევაში მოქმედებს შეზღუდვა, რომ გამოქვითვის შემდეგ, ბალანსზე არ უნდა დარჩეს £2,000-ზე ნაკლები. თუ უცნობია ერთობლივ პერსონალურ ანგარიშზე არსებული თანხიდან რა ნაწილი ეკუთვნის გადამხდელ მშობელს, ანგარიშზე არსებული თანხა თანაბრად გაიყოფა ამ ანგარიშის მესაკუთრე პირთა რაოდენობაზე, მისი წილის განსასაზღვრად. სხვა მესაკუთრეებს უფლება აქვთ მიმართონ სამსახურს გადაწყვეტილების შესაცვლელად, ან გაასაჩივრონ ეს გადაწყვეტილება სასამართლოში.

- აქტივების ამოღება გარდაცვლილი გადამხდელი მშობლის სამკვიდროდან (collection of assets from a deceased paying-parent's estate) - ბავშვთა რჩენის სამსახურმა შეიძლება ამოიღოს დავალიანება გარდაცვლილი მშობლის სამკვიდროდან და ამ მიზნით დაუკავშირდეს ანდერძის აღმასრულებელს ან სამკვიდროს ადმინისტრატორს.

თუ დავალიანება აღემატება £500, სამსახურს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვს პასუხისმგებლობის შესახებ ბრძანება, რომელიც წარმოადგენს სასამართლოს მიერ ვალის ოფიციალურ აღიარებას. აღნიშნული ბრძანება საშუალებას აძლევს სამსახურს:

- დაარეგისტრიროს ვალი საკრედიტო რეიტინგის სააგენტოში, რაც აისახება პირის საკრედიტორ რეიტინგზე;
- აღკვეთოს აქტივების გასხვისება, რაც გამორიცხავს აქტივების გადაცემას სხვა პირისთვის ან მის გატანას ქვეყნის საზღვრებს გარეთ;
- ჩამოართვას მართვის უფლება ან პასპორტი - თუ ვალი აღემატება £1000, სამსახურს შეუძლია მოითხოვოს მართვის მოწმობის ან პასპორტის მიღების ან გაცემული პასპორტის მოქმედების ორ წლამდე ვადით შეჩერება.
- პატიმრობა ან გადაადგილების შეზღუდვა შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ, თუ დადგინდება, რომ ადგილი ჰქონდა "განზრახ შეუსრულებლობას ან ვალდებულების ბრალეულ უგულებელყოფას".

დამატებით ინგლისსა და უელსში (არა შოტლანდიაში), შეიძლება გამოყენებული იქნეს:[27]

- აღმასრულებელი, რომელიც დაეუფლება ქონებას და მოლაპარაკებებს აწარმოებს გადახდაზე;
- სასამართლოსგან ვალის მიმართვის შესახებ ბრძანება, რომელიც დაადგენს, რომ ვალი უნდა ანაზღაურდეს გადამხდელის მშობლის კუთვნილი აქტივიდან, ან რომ სამსახური ინფორმირეული უნდა იქნეს შესაბამისი აქტივის გაყიდვის შესახებ. სამსახურს შეუძლია აგრეთვე მოითხოვოს სასამართლოსგან შესაბამისი ქონების გაყიდვის ბრძანება.

გერმანია

ალიმენტთან დაკავშირებულ დავებს გერმანიაში განიხილავს ოჯახური სასამართლო (Familiengericht). პროცესს არეგულირებს საოჯახო საკითხებზე და უდავო იურისდიქციის საკითხებზე საპროცესო კანონი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება ბავშვის საჭიროებების და მშობლის გადახდისუნარიანობის მიხედვით. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1612ა მუხლი ადგენს არასრულწლოვანი ბავშვისთვის მინიმალურ ალიმენტს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ამ მუხლის თანახმად:

"1. ბავშვს შეუძლია მოთხოვოს მშობელს, რომელიც მასთან არ ცხოვრობს ალიმენტი, როგორც შესაბამისი მინიმალური სარჩოს პროცენტი. მინიმალური სარჩოს გამოთვლა ეფუძნება ბავშვის საშემოსავლო გადასახადის აქტის (Einkommensteuergesetz) 32-ე მუხლის მე-6 პუნქტის პირველი წინადადებით დადგენილი მატერიალური საარსებო მინიმუმის უზრუნველსაყოფად საგადასახადო დახმარების (ბავშვის დახმარების) ორმაგ ოდენობას..." [28] ამავე მუხლის თანახმად, ყოველთვიური განაკვეთი დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე, და ბავშვის ცხოვრების პირველი ექვსი წლის განმავლობაში წარმოადგენს ბავშვის დახმარების ორმაგი ოდენობის მეთორმეტედის 87%-ს, 7-12 წლის ასაკში - 100%-ს, 13 წლის ასაკიდან - 117%-ს.

აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საშემოსავლო გადასახადის შესახებ აქტის 32-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ბავშვის მატერიალური საარსებო მინიმუმის დონის უზრუნველსაყოფად, ბავშვის დახმარება არის თითოეულ ბავშვზე 2 730 ევრო. [29] შესაბამისად, მინიმალური ალიმენტის დაანგარიშებისთვის ათვლის წერტილია ამ თანხის ორმაგი ოდენობა, ანუ 5 460 ევრო, რისი მეთორმეტედიც არის 655.2 ევრო. შესაბამისად, გამოდის, რომ 1-6 წლის ასაკის ბავშვისთვის, მინიმალური ოდენობა არის

[27] იქვე, გვ. 25-26

[28] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მუხლის 1612ა, პუნქტი 1, ხელმისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/englisch_bgb.html#p5629

[29] გერმანიის საშემოსავლო გადასახადის აქტი, მუხლი 32, პუნქტი 6, ხელმისაწვდომია (ინგლისურად): https://www.gesetze-im-internet.de/estg/__32.html

დაახლოებით 570 ევრო (570.024), 7-12 წლის ბავშვისთვის - 655.2 ევრო, ხოლო 13 წლის ასაკიდან დაახლოებით 766 ევრო (766.584).

ზედა ინსტანციის რეგიონულმა სასამართლოებმა შეიმუშავეს ცხრილები და გაიდლაინები, რომელიც ეხმარება საქმის განმხილველ სასამართლოს განსაზღვროს ალიმენტის ძირითადი ოდენობა ყველა რელევანტური გარემოების გათვალისწინებით. როგორც წესი, ათვლის წერტილია დუსელდორფის ცხრილი, რომელიც ყოველ წელს ხელახლა გამოიცემა. ამ ცხრილის მიზანია კანონმდებლობის შევსება ერთგვარონი სასამართლო პრაქტიკისთვის. მისი შემუშავება ხდება დუსელდორფის, კოლნისა და ჰამმის ზემდგომი რეგიონული სასამართლოების ოჯახური სამართლის დანაყოფების მოსამართლეებისა და გერმანული საოჯახო სასამართლოს დღის ასოციაციის (Deutscher Familiengerichtstag eV) ალიმენტის კომისიის მიერ და სხვა რეგიონულ სასამართლოებში ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს საგამონაკლისო საცხოვრებელ პირობებს, ან რაიმე პრობლემას ცხოვრების პირობების მხრივ, გადაწყვეტილებას იღებს მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლო და მისი გადაწყვეტილებები ამ მხრივ სამართლებრივად მბოჭავია, თუმცა, ეს გავლენას არ ახდენს დუსელდორფის ცხრილის საფუძველზე შემუშავებულ კალკულატორზე, რომელიც მოქმედებს ჩვეულებრივი შემთხვევების უმეტესობაში.

ოდენობის გამოთვლისას ამოსავალია ალიმენტისთვის რელევანტური ხელზე მიღებული შემოსავალი იმ მშობლისა, რომელიც არ ახორციელებს ბავშვზე ყოველდღიურ მზრუნველობას. "ალიმენტისთვის რელევანტური ხელზე მიღებული შემოსავალი" ხელზე მიღებულ შემოსავალზე ნაკლებია, რადგან მას აკლდება გადასახადების, ჯანმრთელობისა და უმუშევრობის დაზღვევის თანხები და ა.შ. კალკულატორი აგებულია შემოსავლის ჯგუფებზე და სხვადასხვა ჯგუფებისთვის სხვადასხვა ოდენობებია დადგენილი.[30] 2022 წლიდან პირველ ათ საშემოსავლო ჯგუფს 5500 ევრომდე შემოსავლით დაემატა კიდევ ხუთი საშემოსავლო ჯგუფი და ამჟამად ზედა ზღვარი 11 000 ევროა (ზემოთაღწერილი მოდიფიცირებული შემოსავალი იგულისხმება).[31]

რაც შეეხება აღსრულებას, დადგენილი საალიმენტო მოვალეობა ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში ექვემდებარება იძულებით აღსრულებას. თუმცაღა მოვალეობის შესრულებას ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ მისი შეუსრულებლობა სისხლის სამართლის წესით ისჯება. პირი, რომელიც არღვევს ალიმენტის გადახდის ვალდებულებას, შეიძლება დაისაჯოს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით. თუ საპატიმრო სასჯელი გარდაუვალია, სასამართლოს შეუძლია მისი

[30] Calculator for German Family Law, Spousal and Child Support Calculator 2022, available at: https://www.lawyerdb.de/Support.aspx#d%C3%BCsseldorfer%20tabelle

[31] Expat Info, Minimum Child Maintenance Payments to Increase from 2022 in Germany, 15 December, 2022, at: https://www.iamexpat.de/expat-info/german-expat-news/minimum-child-maintenance-payments-increase-2022-germany

აღსრულების გადავადება და მსჯავრდებულისთვის ვალდებულების შესრულების მითითების მიცემა. თუ პირი გააგრძელებს ვალდებულების დარღვევას, გადავადება შეწყდება და პირი მოიხდის სასჯელს.

მოძრავი ქონების იძულებითი აღსრულებისთვის მიქცევა შეუძლია აღამასრულებელს, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 811-812 და 850 მუხლები განსაზღვრავენ იმ ქონებას და შემოსავალს, რომელზეც არ შეიძლება მიექცეს აღსრულება. აღსრულებისგან გათავისუფლებული შემოსავლის ოდენობა დამოკიდებულია არა მხოლოდ მოვალის შემოსავლის დონეზე, არამედ აგრეთვე იმ პირთა რაოდენობაზეც, რომელთა რჩენის ვალდებულებაც ეკისრება მოვალეს.

ალიმენტის გადახდის მოვალეობასთან დაკავშირებით დავისთვის ხანდაზმულობის ვადაა სამი წელი. აღიარებული საალიმენტო ვალდებულების აღსრულებისთვის კი ეს ვადა 30 წელია.

თუ ვალდებული მშობელი არ იხდის ალიმენტს და ბავშვს ზრდის მარტოხელა მშობელი, ალიმენტის ავანსის აქტის (Unterhaltsvorschussgesetz) თანახმად, ალიმენტის ავანსის სამსახურისგან ბავშვი იიღებს სოციალურ დახმარებას, რომელიც დაფარავს იმ საჭიროებებს, რაც ალიმენტს უნდა დაეფარა. სანაცვლოდ, ალიმენტის მოთხოვნა გადაეცემა ალიმენტის ავანსის ოფისს, რომელსაც უფლება ექნება ისარგებლოს იძულებითი აღსრულებით.

საფრანგეთი

საფრანგეთი იმ ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება, სადაც ალიმენტის (და მისი ოდენობის შესახებ) გადაწყვეტილებას იღებს არა ადმინისტრაციული ორგანო, არამედ სასამართლო, სხვადასხვა პარამეტრების გათვალისწინებით (მშობლების შემოსავალი, ბავშების რაოდენობა, არარეზიდენტი მშობლის მიერ ნახვისა და ბავშვის წაყვანის შესახებ შეთანხმება).[32] მიუხედავად იმისა, რომ ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს დისკრეციული გადაწყვეტილებაა და კანონი არ ზღუდავს მას ამ პროცესში, პრაქტიკაში მოსამართლეები ითვალისწინებენ 2010 წლიდან იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ სახელმძღვანელო ცხრილს[33], რომელიც რამდენიმე პარამეტრზე დაყრდნობით ალიმენტის საშუალო ოდენობის დაანგარიშების შესაძლებლობას იძლევა. მოსამართლეები აგრეთვე ითვალისწინებენ ინფლაციას და სამომხმარებლო ფასების ინდექსს და ახორციელებენ ალიმენტის ოდენობის ინდექსაციას.[34]

---

[32] European e-Justice Portal, Family Maintenance: France, available at: https://e-justice.europa.eu/47/EN/family_maintenance?FRANCE&member=1

[33] იქვე

[34] იქვე

სახელმძღვანელო ცხრილის მიხედვით ალიმენტის დაანგარიშებისას, გადამხდელი მშობლის ხელზე მიღებულ შემოსავალს პირველ რიგში აკლდება საარსებო მინიმუმი - €550.[35]

ამის შემდეგ პროცენტები შემდეგნაირად იანგარიშება. თუ გადამხდელ მშობელთან ბავშვი საერთოდ არ რჩება, ალიმენტის ოდენობაა:

1. ერთ ბავშვზე - ხელზე თვიური შემოსავლის 18%

2. ორ ბავშვზე - ხელზე თვიური შემოსავლის 15.5%

3. სამ ბავშვზე - ხელზე თვიური შემოსავლის 13.3%

4. ოთხ ბავშვზე - ხელზე თვიური შემოსავლის 11.7%

5. ხუთ ბავშვზე - ხელზე თვიური შემოსავლის 10.6%

6. ექვს ბავშვზე - ხელზე თვიური შემოსავლის 9.5%

რაც უფრო მეტ დროს ატარებს ბავშვი გადამხდელ მშობელთან (რაც უფრო დიდია მისი ნახვისა და ბავშვის წაყვანის უფლებები), მით უფრო მცირდება თითოეულ ბავშვზე გადასახდელი პროცენტი. ალიმენტის საშუალო ოდენობა ერთ ბავშვზე არის დაახლოებით €200. მაგ. თუ მშობელი დაკარგავს სამსახურს ან აღარ აქვს გადახდის რესურსები, მას შეუძლია მიმართოს მოსამართლეს ამ გარემოების შესაბამისად, ალიმენტის ოდენობის შესაცვლელად.

რაც შეეხება ალიმენტის ვალდებულების შეუსრულებლობას, ამ შემთხვევაში კრედიტორმა მშობელმა უნდა მიმართოს სასამართლოს. თუ პირს წარედგინება ბრალი ოჯახის მიტოვებაში, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 227-3 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია. ამ მუხლის თანახმად,

"პირის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების, ან სასამართლოს მიერ დამტკიცებული შეთანხმების შეუსრულებლობა, რომელიც ითვალისწინებს სამართლებრივი, ბიოლოგიური, ნაშვილები ბავშვის, აღმავალი ან დაღმავალი ხაზის ნათესავის ან მეუღლის სასარგებლოდ რაიმე ტიპის პენსიის, შენატანის, სუბსიდიის ან სარგებლის გადახდას სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნის მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 თავებით გათვალისწინებულიმ რომელიმე საოჯახო ვალდებულების საფუძველზე, ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ამ ვალდებულების სრულად შეუსრულებლობით დაისჯება 2 წელზე მეტი ვადით პატიმრობით ან 15 000 ევრომდე ჯარიმით."[36]

ამდენად, კრედიტორ მშობელს აქვს უფლება სასამართლოს მიმართოს, როდესაც მოვალე მშობელი ორი თვის განმავლობაში არ ასრულებს საალიმენტო მოვალეობას.

---

[35] Justifit, How to calculate the amount of Alimony, at: https://www.justifit.fr/b/guides/droit-famille/divorce/calcul-pension-alimentaire/

[36] საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 227-3, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://www.legislationline.org/download/id/3316/file/France_Criminal%20Code%20updated%20on%2012-10-2005.pdf

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდა, კრედიტორ მშობელს შეუძლია პირდაპირ დაუკავშირდეს აღმასრულებელს, რათა მოვალის აქტივები მიქცეული იქნეს ვალდებულების შესასრულებლად (გარდა ქონების და ხელფასის დაყადაღებისა, რისთვისაც წინასწარ სასამართლოს გადაწყვეტილებაა საჭირო). აღმასრულებლებს გააჩნიათ ფართო საგამოძიებო უფლებამოსილებები მოვალის ქონების საპოვნად და საჭირო ინფორმაციის მისაღებად.

კრედიტორ მშობელს გააჩნია რამდენიმე მექანიზმი აღსრულებისთვის:

- პირდაპირი გადახდის პროცედურა (სამოქალაქო სააღსრულებო საპროცესო კოდექსის მუხლის 213-1). ეს მექანიზმი საშუალებას იძლევა ამოღებული იქნეს ბოლო ექვსი თვის საალიმენტო დავალიანება და მიმდინარე გადასახდელი. ამისთვის აღმასრულებელი აცნობებს დამსაქმებელს, ბანკს, ან მოვალე მშობლის მოვალე მესამე მხარეს ამ ვალდებულების შესახებ, რომ შესაბამისი თანხა მოვალე მშობლის ნაცვლად გადაუხადონ პირდაპირ აღმასრულებელს;
- შემოსავლის დაყადაღება, რისი უფლებამოსილებაც უნდა გასცეს რაიონული ინსტანციის მოსამართლემ;
- თუ მოვალის მიმართ მესამე პირს აქვს რაიმე ვალი გადასახადელი, შესაბამისი ვალის დაყადაღება (ყველაზე ხშირად საბანკო ანგარიშის დაყადაღება);
- ქონების დაყადაღება გაყიდვის მიზნით (როგორც წესი აქ იგულისხმება მოძრავი მატერიალური სიკეთეები, ტელევიზორი, მანქანა, ა.შ.);
- უძრავი ქონების დაყადაღება; (აქ იგულისმება მოვალის კუთვნილი უძრავი ქონება და მისი გაყიდვისთვის საჭიროა აღმასრულებელი მოსამართლის ნებართვა).

მხოლოდ მოვალე იხდის აღმასრულებლის ხარჯებს.

იძულებითი აღსრულებისთვის ხანდაზმულობის ვადაა ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან 5 წელი. პირდაპირი აღსრულება არ მოქმედებს 6 თვეზე უფრო დიდ დავალიანებაზე, თუმცა, ამ შემთხვევაში სხვა მეთოდების გამოყენება შეიძლება. ზოგიერთი ქონების დაყადაღება ვერ მოხდება: ესეთია რჩენის დახმარება; მოძრავი ქონება, რომელიც აუცილებელია მოვალის ცხოვრებისა და სამუშაოსთვის; ნივთები, რომლებიც აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის; ზოგიერთი სოციალური დახმარება.

2020 წლის პირველი ივნისიდან ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, გადაუხდელობის შეტყობინების მიღებისას, ოჯახური დახმარების ფონდის მოსამართლე მიიღებს ბრძანებას, მოვალე მშობლის ანგარიშიდან თანხის პირდაპირ ამოღების შესახებ. თუ მოვალეს არ გააჩნია შესაბამისი თანხა, ოჯახური დახმარების ფონდი (საჯარო სერვისი) გადაუხდის შემწეობას შესაბამის ოჯახს.

2021 წელს პრეზიდენტ მაკრონის განცხადებით დაახლოებით 30-40% ბავშვების ალიმენტისა გადაუხდელი იყო, რაც მარტოხელა მშობლების დიდ ნაწილს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრებას აიძულებდა.[37]

იტალია

როდესაც მშობლები ცილდებიან, განქორწიანდებიან ან ცალ-ცალკე იწყებენ ცხოვრებას, ბავშვებს აქვთ ფინანსური დახმარების მიღების უფლება სამოქალაქო კოდექსის 337-ე მუხლის თანახმად. ფინანსური დახმარება პროპორციული უნდა იყოს მათი მშობლების საშუალებისა და მათი შესაძლებლობისა იმუშაონ პროფესიულად ან სახლში. გადაწყვეტილებას ფინანსური, რეგულარული დახმარების შესეხებ იღებს სასამართლო და ოდენობას ადგენს ბავშვის საჭიროებების, იმ ცხოვრების სტანდარტის, რომელიც ბავშვს ჰქონდა მშობლების თანაცხოვრებისას, თითოეულ მშობელთან გატარებული დროის, ორივე მშობლის ფინანსური რესურსების და თითოეული მშობლის მიერ განხორციელებული მზრუნველობისა და საშინაო საქმეების ფინანსური ღირებულების მიხედვით.

ალიმენტის მისაღებად, თითოეულმა პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს განცხადება და მათი საჭიროებების დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულებები. სამართალწარმოების დაწყებისას ალიმენტის მომთხოვნ მხარეს უფლება აქვს სასამართლოს სთხოვოს ალიმენტის დროებითი დანიშვნა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

ალიმენტის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება განსაზღვრავს ალიმენტის ოდენობას დასაფარი ძირითადი საჭიროებების (საარსებო მინიმუმი, საცხოვრებლისა და ჩასაცმელის ღირებულება, ძირითადი სიკეთეების და მომსახურების ღირებულება, რომლებიც აუცილებელია ღირსეული არსებობისთვის) მიხედვით. ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო ასევე ითვალისწინებს ვალდებული პირის ფინანსურ შესაძლებლობებს და არასრულწლოვანი ბავშვების საგანმანათლებლო საჭიროებებს.

თუ ვალდებული პირი ნებაყოფლობით არ იხდის ალიმენტს, გამოიყენება ფინანსური ვალდებულებების აღსრულების ჩვეულებრივი მეთოდები. ამასთან, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს ბრალდების ორდერი, რომლითაც განსაზღვრავს თითოეული ვადაგადაცილების ან ვალდებულების შეუსრულებლობისას რა თანხა დაეკისრება ალიმენტის გადამხდელ მშობელს.

ცოტა ხნის წინ შეიქმნა სახელმწიფო ფონდი, რომელიც ფინანსურ სირთულეების მქონე ერთ-მშობლიან ოჯახებს მცირეწლოვანი ბავშვებით უხდის სარჩოს, როდესაც მოვალე მშობელი არ იხდის ალიმენტს. ამისთვის მეორე მშობელმა უნდა მიმართოს

[37] INSIDER, France Launched a Government Service that will take child support payments directly out of parents' bank accounts if they don't pay them, Jan. 6, 2021, at: https://www.insider.com/french-government-child-support-payments-service-2021-1

სასამართლოს. იუსტიციის სამინისტრო წინასწარ იხდის თანხას და მერე ამოიღებს დავალიანებს მოვალე მშობლისგან, რომელიც თავს არიდებს ვალდებულების შესრულებას.[38]

ესპანეთი

ესპანეთში პირველი ინსტანციის სასამართლოები იღებენ გადაწყვეტილებას ალიმენტთან დაკავშირებით. ალიმენტი როგორც წესი რეგულარული, ყოველთვიური გადასახადია. თუმცა, საგამონაკლისო შემთხვევაში, როდესაც არსებობს დავალიანება, ან მოვალეს არ გააჩნია მყარი აქტივები და ეს საუკეთესო გზაა სამომავლო გადახდების უზრუნველსაყოფად, შეიძლება ერთიანი მოჭრილი თანხით მოხდეს გადახდა. ალიმენტის კონკრეტული ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მიჰყვება აბსტრაქტულ სამართლებრივ წესს, რომელიც ეფუძნება შემდეგ სამი ასპექტს შორის პროპორციულობას: ალიმენტის მიმღების საჭიროებებს; ალიმენტის გადამხდელის ფინანსურ შესაძლებლობებს; იმ მესამე მხარეების ფინანსურ შესაძლებლობებს, რომელთაც აგრეთვე ევალებათ წვლილი შეიტანონ ბავშვის რჩენაში ისევე, როგორც მთავარ მოვალეს (მშობელს).

სასამართლოს გადაწყვეტილება ალიმენტის ოდენობის შესახებ ქმნის ათვლის წერტილს. ეს ოდენობა შეცვლილი გარემოებების მიხედვით ავტომატურად შეიძლება შეიცვალოს გადამხდელის მიერ ან კრედიტორის მიერ სასამართლოსთვის ხელახალი მიმართვის გზით (თუ გაიზარდა ან შემცირდა მოვალის შემოსავალი ან კრედიტორის საჭიროებები).

სასამართლოების გენერალურმა საბჭომ შეიმუშავა ალიმენტის გამოთვლის ცხრილები [39], რომლებიც ბოლოს 2019 წლის მაისში განახლდა. ეს ცხრილები წარმოადგენს გაიდლაინებს სასამართლოსთვის, რომელიც ეფუძნება ბავშვების საჭიროებებს, მშობლების შემოსავალს და ოჯახში ბავშვების რაოდენობას. ამ კალკულაციაში არ არის შეტანილი ბავშვების საცხოვრებლისა და განათლების ხარჯები და ამდენად თითოეულ შემთხვევაში კალკულატორით დაანგარიშებული თანხის მოდიფიცირება უნდა გააკეთოს სასამართლომ ამ ხარჯების გათვალისწინებით.

თუ პირი არ იხდის ალიმენტს, კრედიტორს შეუძლია სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიმართოს. ესპანეთში გამოიყენება აღსრულების შემდეგი მეთოდები: შემოსავლის დაყადაღება (საარსებო მინიმუმის გამოკლებით); დასაბრუნებელი გადასახადების დაკავება; საბანკო ანგარიშის გაყინვა, სოციალური

---

[38] European e-Justice Portal, Family Maintenance: Italy, available at: https://e-justice.europa.eu/47/EN/family_maintenance?ITALY&member=1

[39] ხელმისაწვდომია: https://www.poderjudicial.es/cgpj/es/Servicios/Utilidades/Calculo-de-pensiones-alimenticias/

დახმარებების დაკავება; ქონების ამოღება და საჯაროდ გაყიდვა. გარკვეულ შემთხვევებში, თუ გადახდები არ სრულდება, ეს შეიძლება ქმნიდეს სისხლის სამართლის დანაშაულს და პირი დაისაჯოს თავისუფლების აღკვეთით.

აღსრულებისთვის მოქმედებს ხუთწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

2006 წელს შეიქმნა ალიმენტის გადახდის უზრუნველყოფის ფონდი, რომლის მიზანია არასრულწლოვანი ბავშვებისთვის გადაუხდელი ალიმენტის ანაზღაურება. ამ ფონდიდან თანხის მისაღებად მნიშვნელოვანია, რომ ალიმენტი დადგენილი იყოს ესპანეთის სასამართოების მიერ.[40]

პორტუგალია

თუ მშობლები მოახერხებენ შეთანხმებას ალიმენტის ოდენობაზე, ამ შეთანხმების რეგისტრაცია მოხდება საჯარო რეესტრში. უთანხმოების შემთხვევაში ალიმენტთან დაკავშირებული წარმოება მიმდინარეობს სასამართლოში.

ბავშვების ალიმენტის ოდენობა პროპორციული უნდა იყოს ალიმენტის გადამხდელი მშობლის საშუალებისა. პორტუგალიის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვისთვის ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ მოვალის მიერ ამჟამად მიღებული შემოსავალი, არამე აგრეთვე ყოვლისმომცველი და შორსმიმავალი შეფასება უნდა გააკეთოს მისი სოციალური სტატუსისა, მუშაობის უნარისა, პროფესიული პრაქტიკისა, რომელიც მას ამ მოვალეობის შესრულების შესაძლებობას მისცემს და ერთიანად ყველა იმ აქტივისა, რომელიც მას გააჩნია.

ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში აღსრულების მექანიზმები შეიძლება იყოს სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი.

სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმები, რომელთა ამოქმედებას შეიძლება წინ უსწრებდეს კრედიტორის მოსმენა სასამართლოში, მოიცავს მოვალის შემოსავლებიდან ალიმენტის ყოველთვიურ დაქვითვას, იქნება ეს ხელფასი, პენსია, სუბსიდია თუ სხვა დახმარება. ამ შემთხვევაში, მოვალისთვის შემოსავლის მიმცემი პირები ვალდებულენი არიან ალიმენტის ოდენობა შეიტანონ ალიმენტის კრედიტორის მიერ მოწოდებულ საბანკო ანგარიშზე. თუ ისინი ამას არ გააკეთებენ, იძულებითი აღსრულება მათზე იქნება მიქცეული.

დაგროვილი გადაუხდელი ალიმენტის ასანაზღუარებლად, კრედიტორს შეუძლია დაიწყოს აღსრულების სპეციალური სამართალწარმოება. ამ შემთხვევაში კრედიტორს აღსრულების უფრო მეტ მქანიზმებზე მიუწვდება ხელი, როგორიცაა გირავნობა და

[40] European e-Justice Portal, Family Maintenance: Spain, available at: https://e-justice.europa.eu/47/EN/family_maintenance?SPAIN&member=1

ყადაღა. თუ შემოსავლის დაყადაღებისას აღმოჩნდება, რომ ეს თანხა არაა საკმარისი, კრედიტორს შეუძლია სხვა ქონებიდანაც მოითხოვოს ანაზღაურება. თუ ქონებიდან მიღებული შემოსავალი აღემატება დავალიანებას, განსხვავება უნდა აუნაზღაურდეს მოვალე მშობელს. ამოსაღები ქონება, შეიძლება იყოს მოძრავიც და უძრავიც, საბანკო დეპოზიტები, საკრედიტო უფლებები, კომერციული საწარმოები ან წილები.

მეორე მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსის 250-ე მუხლი ითვალისწინებს ალიმენტის გადაუხდელობისთვის ერთი თვიდან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთან ან 20-დან 40 სამუშაო დღემდე ღირებულების ჯარიმის დაკისრებას. თუ პირი შეასრულებს მოვალეობას, შეიძლება ის გათავისუფლდეს სასჯელის რეალური მოხდისგან.

კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ ქონების სახეებს, რომელთა ამოღება აბსოლუტურად არ შეიძლება (მაგალითად სასაფლაო, ან როდესაც ქონების უმნიშვნელო ფასის გამო მისი ამოღება ეკონომიკურ აზრს მოკლებულია,), უფრო არ შეიძლება (მაგალითად, მოვალის სამუშაო იარაღები, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც თვითონ მოვალე დათანხმდება ამაზე) და ნაწილობრივ შეიძლება (ხელზე მიღებული შემოსავლის ორი მესამედი, დაზღვევის ან კომპენსაციის თანხები).

არასრულწლოვანი ბავშვებისთვის ალიმენტის გარანტიის ფონდი ავანსად უხდის ბავშვებს ალიმენტს, რომელსაც მოვალე მშობელი არ იხდის, რაც უნდა ეფუძნებოდეს უფლებამოსილი სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანებას.[41]

ლიეტუვა

გადაწყვეტილებას ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის შესახებ, აგრეთვე შეთანხმებული ოდენობის გადაუხდელობისას მისი აღსრულების შესახებ იღებენ სასამართლოები. ალიმენტი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ყოველთვიური გადასახადი, ერთიანი თანხა ან ბავშვისთვის ქონების გადაცემა. ალიმენტის თანხა უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის საჭიროებებსა და მშობლების ფინანსურ მდგომარეობას; ის აგრეთვე უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვის განვითარებისთვის საჭირო პირობებს.

სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იძულებით აღსრულებას ახორციელებს აღმასრულებელი. იმავდროულად ალიმენტის გადაუხდელობა ან ბავშვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერის ვალდებულების შეუსრულებლობა ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით, თავისუფლების შეზღუდვით ან აღკვეთით ორ წლამე ვადით. მეორე მხრივ, სასამართლოს სამოქალაქო

[41] European e-Justice Portal, Family Maintenance: Portuga, available at: https://e-justice.europa.eu/47/EN/family_maintenance?PORTUGAL&member=1

გადაწყვეტილების აღუსრულებლობა წარმოადგენს ნაკლებად მძიმე დანაშაულს, რომელიც ასევე ისჯება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით, ჯარიმით, თავისუფლების შეზღუდვით ან პატიმრობით.

გადაუხდელი ალიმენტის იძულებითი აღსრულებისას მოქმედებს გარკვეული შეზღუდვები. კერძოდ, აღსრულება ვერ იქნება მიქცეული სახლის, სამუშაო ან სასწავლო ნივთების მიმართ, რომელიც აუცილებელია მოვალის სიცოცხლისუნარიანობისთვის, მისი ოჯახისთვის, ან პროფესიული საქმიანობისთვის. ქონების სახეები უფრო დეტალურად განსაზღვრულია გადაწყვეტილებათა აღსრულების სახელმძღვანელოში. რაც შეეხება მოვალის ხელფასიდან ან შემწეობიდან დაქვითვას, ყოველთვიური დაქვითვის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მთავრობის მიერ დადგენილ ყოველთვიურ მინიმალურ ხელფასს. დაქვითვა არ შეიძლება მოხდეს გარკვეული ტიპის შემწეობებიდან (მაგ. დედობის ან მამობის შემწეობიდან, ბავშვზე ზრუნვის შემწეობიდან, ა.შ.)

აგრეთვე დავალიანების ანაზღაურება მოვალის ქონებიდან ვერ მოხდება თუ ის წარუდგენს აღმასრულებელს მტკიცებულებას, რომ 6 თვის განმავლობაში დაფარავს ამოსაღებ თანხას და აღსრულების ხარჯებს.

თუ არასრულოვანი ბავშვი ვერ იღებს ალიმენტს ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, სახელმწიფოში მოქმედებს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ფონდის საბჭო, რომელიც შესაბამისი დოკუმენტების წარდგენისას გადაიხდის ალიმენტის დახმარებას, რითაც მოიპოვებს უფლებას ეს თანხა ამოიღოს მოვალისგან, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დარიცხულ პროცენტთან ერთად.[42]

ჩეხეთის რესპუბლიკა

ბავშვის ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ ბავშვის ცხოვრების სტანდარტი არსებითად იდენტურია მშობლების ცხოვრების სტანდარტისა. ალიმენტზე გადაწყვეტილების მიღება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს.

ალიმენტი, როგორც წესი ყოველთვიური წინასწარი გადასახადია, თუმცა გამონაკლისურ შემთხვევაში შეიძლება სხვა ფორმითაც მოხდეს შესრულება, როგორიცაა საცხოვრებლით უზრუნველყოფა, მატერიალური სიკეთეების მიწოდება, ა.შ. ალიმენტის ვალდებულება ასევე მოიცავს საკუთრებითი ურთიერთობების განსაზღვრავს და ბავშვის გონივრული საჭიროებების გათვალისწინებას, რაც პირველ რიგში განისაზღვრება მისი ასაკითა და ჯანმრთელობის მდგომარეობით. აგრეთვე

[42] European e-Justice Portal, Family Maintenance: Lithuania, available at: https://e-justice.europa.eu/47/EN/family_maintenance?LITHUANIA&member=1#tocHea der1

მნიშვნელოვანია, როგორ ემზადება ბავშვი თავისი მომავალი კარიერისთვის, მისი ექსტრაკურიკულური აქტივობები და ჰობები. თუ გადამხდელი მშობლის ფინანსური მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა, ბავშვისთვის დანაზოგის შეგროვებაც შეიძლება მის გონივრულ საჭიროებად ჩაითვალოს. საალიმენტო ვალდებულების მოცულობაზე მსჯელობისას, აგრეთვე გაითვალისწინება, როგორ ზრუნავს ბავშვზე მშობელი და რა მოცულობისაა ეს ზრუნვა.

ჩეხეთის რესპუბლიკის კანონმდებლობა არ იცნობს ალიმენტის ობიექტივიზებას ცხრილების გამოყენებით და პროცენტულობის დადგენით - მოსამართლეები არც ზედა ან ქვედა ზღვარით არიან შეზღუდულები და ითვალისწინებენ თითოეული საქმის ინდივიდუალურ გარემოებებს. თუმცა რეკომენდაციის სახით იუსტიციის სამინისტრო ამზადებს ალიმენტის ცხრილებს, რომელიც ბავშვის ასაკის მიხედვით ითვალისწინებს რამდენი პროცენტი უნდა დაიქვითოს გადახდელი მშობლის ხელზე მისაღები ხელფასიდან (მაგ. ხუთ წლამდე - 11-15%, 6-9 წლამდე 13-17%, ა.შ).[43] ხელზე მისაღები ხელფასი ამ შემთხვევაში ნიშნავს ხელფასს, რომლიდანაც დაქვითულია გადასახადები და სოციალური დაზღვევის თანხები.[44]

ალიმენტის გადაუხდელობის შემთხვევაში შეიძლება პირმა მიმართოს სასამართლოს ან აღმასრულებელს. სასამართლოს გზით ალიმენტის აღსრულებისას, სასამართლო პირველ რიგში, ეხმარება მხარეს პასუხისმგებელი მშობლის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრაში. ასევე სასამართლოს შეუძლია გამოკითხოს მოვალე მშობელი და მოთხოვოს ინფორმაცია იმის შესახებ, საიდან იღებს რეგულარულ შემოსავალს, რომელ ბანკში ან ფინანსურ ინსტიტუტში აქვს ანგარიშები და რა აქტივები გააჩნია.

როდესაც ბავშვის ალიმენტის აღსასრულებლად მიმართავენ აღმასრულებელს, ერთ-ერთი აღსრულების მეთოდია შესაბამისი პირის მართვის მოწმობის შეჩერება.

თუ პირი არ ასრულებს თავის საალიმენტო ვალდებულებას, შეიძლება მის წინააღმდეგ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა სავალდებულო ალიმენტის გადაუხდელობის გამო. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, თუ პირი განზრახ ან გაუფრთხილებლობით არ იცავს თავის სამართლებრივ ვალდებულებას სხვა ადამიანზე ზრუნვისა ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, მის წინააღმდეგ შეიძლება აღიძრას საქმე.

მუნიციპალიტეტის ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ბავშვის სოციალურ ან სამართლებრივ დაცვაზე შეუძლიათ ბავშვის სახელით მიმართონ სასამართლოს ალიმენტის აღსასრულებლად, თუმცა ჩეხეთის რესპუბლიკის

[43] Ministry of Justice of the Czech Republic, Recommended Table for Determining of the Amount of Maintenance, available at: http://portal.justice.cz/Justice2/MS/ms.aspx?o=23&j=33&k=6223&d=315516

[44] იქვე

კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სრულად ან ნაწილობრივ ალიმენტის დაფარვას ვალდებული მშობლის ნაცვლად, მოგვიანებით მისი ანაზღაურების უფლებით.[45]

აღსრულება ევროკავშირში და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

ევროკავშირში მოქმედებს მთელი რიგი სამართლებრივი აქტები, რაც უზრუნველყოფს ბავშვთა ალიმენტის შესახებ ერთ წევრ ქვეყანაში გაცემული სასამართლო გადაწყვეტილებების მარტივად და ფორმალობების გარეშე აღსრულებას სხვა წევრ ქვეყანაში, ასევე თანამშრომლობას მესამე ქვეყნებთან ალიმენტის აღსრულების საკითხებზე. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირი თავად გახდა საზღვარგარეთ ბავშვის ალიმენტის მიღების შესახებ გაეროს 1956 წლის კონვენციის წევრი (Council Decision 2011/432)[46], რაც არეგულირებს ალიმენტის საკითხებზე საერთაშორისო ადმინისტრაციული თანამშრომლობის პროცესს. დამატებით საბჭოს რეგულაცია, რომელიც ცნობილია ბრუსელი I-ის სახელით და მოქმედებს 2002 წლის მარტიდან, უკავშირდება სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე გადწყვეტილებების აღსრულებას და იურისდიქციას და ალიმენტის საქმეებზე სპეციალური იურისდიქციისთვის წესებს ითვალისწინებს.[47]

გარდა ამისა, ევროკავშირში მოქმედებს მთელი რიგი აქტები, რაც ხელს უწყობს წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობას ალიმენტის შესახებ გადაწყვეტილებების ტრანსასაზღვრო აღსრულებისთვის, როგორიცაა:

- განქორწინებისა და დაშორების შემთხვევაში მოქმედი კანონები (Regulation 1259/2010);
- კომპეტენტურობა, აღიარება და აღსრულება სასამართლო გადაწყვეტილებებისა საოჯახო საკითხებში და ბავშვების მიმართ მშობლების პასუხისმგებლობის სფეროში (Regulation 2201/2003);
- სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარება და ცნობა და თანამშრომლობა საალიმენტო ვალდებულებების სფეროში (Regulation 4/2009).

აღნიშნული აქტები ერთობლივად უზრუნველყოფენ შემდეგს[48]:

- წევრ ქვეყნებს შორის სასამართლო და არასასამართლო (ადმინისტრაციული ორგანოების) გადაწყვეტილებების აღიარებას და მათი აღსრულების

[45] European e-Justice Portal, Family Maintenance: Czech Republic, available at https://e-justice.europa.eu/47/EN/family_maintenance?CZECH_REPUBLIC&member=1

[46] Directorate General for International POlicies of European Parliament, Child Maintenance Systems in EU Member States from a Gender Perspective, 2014, at 30.

[47] იქვე, გვ. 29

[48] იქვე, გვ. 29

გამარტივებას. ეს განქორწინებულ ან დაშორებულ მშობლებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყენაში ცხოვრობენ, საშუალებას აძლვს მეურვეობისა და ბავშვის ალიმენტის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების დაცვა შეძლონ სხვა წევრ ქვეყანაში;

- სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების ტრანსასაზღვრო გაცვლას, რაც საშუალებას იძლევა ინფორმაცია ბავშვის მეურვეობისა და ალიმენტის შესახებ გადაეცეს ერთიდან მეორე წევრ ქვეყანას;
- მტკიცებულებების შეგროვებაში თანამშრომლობას. როდესაც მშობლები დავობენ ალიმენტთა დაკავშირებით, მაგალითად, როდესაც დედას მიაჩნია, რომ მამას უფრო მაღალი შემოსავალი აქვს ვიდრე აცხადებას, მას შეუძლია მიიღოს დახმარება ამის დასამტკიცებლად იმ ქვეყნის მხრიდან, სადაც მამა ცხოვრობს;
- თანაბარ წვდომას სამართლებრივ საშუალებაზე. როდესაც მშობლები სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობენ დაშორების შემდეგ, ბავშვის რჩენასთან დაკავშირებული სამართალსაწარმოება ისევე ეფექტური უნდა იყოს, თითქოს მეურვეობის მქონე მშობელიც იმავე ქვეყანაში ცხოვრობს.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებს ბავშვთა ალიმენტთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფარგლებში ორი ტიპის დავები გვაქვს: 1. დავები, დაკავშირებული სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვასთან, რადგან არსებობს ადმინისტრაციული ორგანოსთვის სავალდებულო მიმართვის წესი; 2. დავები დაკავშირებული ალიმენტის განსაზღვრის საქმეების არაგონივრულ ვადასთან და გაჭიანურებასთან, რაც არღვევს კონვენციის მე-6 მუხლს. ქვემოთ ორივე ტიპის საქმე იქნება განხილული.

ა) კეჰო გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (2010/06)

განმაცხადებელს ოთხი შვილი ჰყავდა და ყოფილი მეუღლისგან მათი აღზრდისთვის უნდა მიეღო ყოველკვირაში 150 ფუნტი 1994 წლიდან. თუმცა, ბავშვების მამამ მალე შეწყვიტა ალიმენტის ხდა და მის მიმართ ბავშვების რჩენის სააგენტოს მიერ მიღებული ღონისძიებები ან დაგვიანებული იყო, ან არაეფექტური, რის შედეგადაც 2002 წლისთვის მამას დაგროვილი ქონდა დავალიანება 6 329 ფუნტის ოდენობით 1995 წლიდან 2000 წლამდე და 13 859 ფუნტი 2000-დან 2002 წლამდე. განმცხადებელს თანხა აუნაზღაურდა 2005 წლისთვის. თუმცა, ის დავობდა, რომ ის და მისი შვილები, ვისაც რეალური ინტერესი ქონდათ ალიმენტის აღსრულებაში არ იყვნენ ჩართულნი აღსრულების პროცესში, მათი აღსრულების სქემა იყო არაეფექტური და არასაკმარისი. და ამასთანავე მას არ ეძლეოდა სასამართლოს გზით აღსრულების შესაძლებლობა, რაც არღვევდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტის (სასამართლოს ხელმისაწვდომობის ნაწილში) და მე-13 მუხლს (ეფექტური სამართლებრივი დაცვის უფლება).

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელს შეეძლო ეჩივლა სააგენტოსთვის/სახელმწიფო მდივნისთვის ყოფილი ქმრის მიერ ალიმენტის გადახდის სათაადო აღსრულების საკითხზე უმოქმედობის გამო. მას ჰქონდა შესაძლებლობა, რომ სასამართლოსგან მიეღო გადაწყვეტილება, რომელიც დაავალებდა შესაბამის ხელისუფლების ორაგნოს მიეღო სათანადო და დროული მოქმედებები, რათა მოეგვარებინა განმცხადებლის მთავარი პრობლემა - ყოფილი ქმრის მიერ ალიმენტის გადაუხდელობა. რაც შეეხება განმცხადებლის არგუმენტს, რომ მას არ შეეძლო სასამართლოსგან მიეღო ზიანის ანაზღაურება ადმინისტრაციული სააგენტოს უმოქმედობის გამო, სასამართლომ აღნიშნა, რომ მის წინაშე იდგა საკითხი ჰქონდა თუ არა განმცხადებელს შესაძლებლობა მიემართა სასამართლოსთვის ალიმენტის დავალიანების ასანაზღაურებლად. რაც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურებას, მე-6 მუხლი ეროვნულ სამართალს არ სთხოვდა ამგვარი უფლების გათვალისწინებას.

რაც შეეხება განმცხადებლის არგუმენტს, რომ მისთვის მძიმე ტვირთი იქნებოდა, ყოველ ჯერზე სასამართლოსთვის მიმართვა, როცა სააგენტოში საქმე ჭიანურდებოდა, სასამართლომ აღნიშნა, რომ "ჯიუტი მშობლებისგან" ალიმენტის ამოღება რთული პროცესია. ხელისუფლების ორგანოებს მხოლოდ ის შეიძლება მოეთხოვოთ, რომ ყველა გონივრული ღონისძიება გაატარონ, რაზეც ხელი მიუწვდებათ. მე-6 მუხლი მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ ყოველთვის შეძლებოდა პირს სასამართლოსთვის მიმართვა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ამას არ გააკეთებდა. რაც შეეხება სასამართლოსთვის რამდენჯერმე მიმართვას, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს არ წარმოადგენდა ისეთ არაპროპორციულ ტვირთს, რომ მე-6 მუხლით გათვალისწინებული უფლება დაერღვია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლის მოითხოვდა ჰქონოდა თავისი ყოფილი მეუღლის წინააღმდეგ პირდაპირ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება და ამ შემთხვევაშიც შეიძლებოდა რამდენჯერმე ყოფილიყო საჭირო მიმართვა ყოფილი ქმრის გამაჭიანურებელი ტაქტიკის გათვალისწინებით.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე ინგლისისა და უელსის ბავშვთა ალიმენტის აღსრულების სისტემაზე: "სახელმწიფოს მხრიდან ალიმენტის გადახდისთვის აღსრულების სქემის ამოქმედება, სხვათა შორის, ბევრ მშობელს ეხმარება, რომლებიც ზრუნავენ შვილებზე და არ გააჩნიათ დრო, ენერგია, რესურსები ან სურვილი ჩათრეულნი იქნენ მიმდინარე სასამართლო დავაში გაუჩინარებულ მშობლეთან; ეს სქემა საშუალებას აძლევს სახელმწიფოს მისდიოს გაუჩინარებულ მშობელს, რომლებიც არ ასრულებენ თავიან ვალდებულებებს და თავიანთ ოჯახებს სოციალური უსაფრთხოების სისტემისა და გადასახადის გადამხდელების იმედად ტოვებენ. ის ფაქტი, რომ შეიძლება სხვა სისტემის წარმოდგენაც, რომელიც დამატებით დაუშვებდა მშობლის წინააღმდეგ ინდივიდუალურ აღსრულებას განმცხადებლის სიტუაციაში არაა საკმარისი, რომ სახელმწიფოს მხრიდან მე-6 მუხლის ფარგლებში

ვალდებულების დარღვევად ჩაითვალოს.” [49] სასამართლომ არც მე-13 მუხლის დარღვევა დაადგინა ამ საქმეში, რითაც კონვენციასთან შესაბამისად ცნო გაერთიანებული სამეფოს ალიმენტის აღსრულების სისტემა.

ბ) რისტიჩი სერბეთის წინააღმდეგ (32181/08)

2000 წლის 28 დეკემბერს ორი განმცხადებლის მშობლების განქორწინებისას, სასამართლომ ბავშვების მამას დააკისრა თითოეულის სასარგებლოდ მისი თვიური შემოსავლის 25-25% ალიმენტის სახით. გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2001 წლის 27 ივნისს. 2003 წელს განმცხადებლების დედამ მიმართა პროკურატურას სისხლისსამართლებრივი დევნისთვის ალიმენტის გადაუხდელობის გამო. სისხლის სამართლის პროცესი გაგრძელდა 2009 წლის 16 ივლისამდე ძირითადად ბრალდებისა და დაცვის მხარეების და მოსამართლის მიერ პროცესების გადადების მიზეზით. ამასობაში ის ხანდაზმული გახდა. ალიმენტის ანაზღაურების შესახებ სისხლის სამართლის პროცესში წარდგენილი სამოქალაქო სარჩელიც არ დაკმაყოფილდა, თუმცა, განმცხადებლებს ურჩიეს, რომ ცალკე დავა დაეწყოთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სამოქალაქო სასამართლოში.

განმცხადებლები დავობდნენ, რომ საქმის განხილვა არ მოხდა გონივრულ ვადაში, რაც კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ერთ-ერთი მოთხოვნაა.

სასამართლომ იმსჯელა საქმეზე მე-6 მუხლის სამოქალაქო უფლებების განშტოების ფარგლებში, რადგან განცმხადებლები მონაწილეობდნენ საქმეში თავიანთი სამოქალაქო უფლების დასაცავად. სასამართლომ პირველ რიგში აღნიშნა, რომ გონივრულია თუ არა საქმის განხილვის ვადა, დამოკიდებულია საქმის სირთულეზე, განმცხადებლების ქცევაზე, შესაბამისი ხელისუფლების ორგანოების ქცევაზე და იმაზე, თუ განმცხადებლების რა ინტერესს ეხებოდა დავა.

სასამართლომ პირველ რიგში გაითვალისწინა, რომ ბავშვების მამის ბრალდება საშუალებას მისცემდა განმცხადებლებს აენაზღუარებინათ ალიმენტი. პროცესი გაგრძელდა ექვსი წელი და ოთხი თვე. საქმე არ იყო განსაკუთრებულად რთული, თუმცა, ეხებოდა განმცხადებლებისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს, და კონვენცია, ისევე როგორც შესაბამისი შიდა სამართალი, მოითხოვდა განსაკუთრებულ გულმოდგინებას ყველა ბავშვებთან დაკავშირებულ საქმეში. განმცხადებლის ქცევას არ გამოუწვევია პროცესუალური გაჭიანურება. სასამართლომ უნდა იზრუნოს არა მხოლოდ დასაცავი პირის უფლებებზე, არამედ დაზარალებულების ადექვატურად დაცვაზეც, განსაკუთრებით, როცა ისინი პატარები და მოწყვლადები არიან. ბოლოს სასამართლომ აღნიშნა, რომ დევნას ხანდაზმულობის ვადა გაუვიდა და განმცხადებლებს მოესპოთ მათი სამოქალაქო მოთხოვნის დაკმაყოფილების

[49] Case of Kehoe v The United Kingdom (application no. 2010/06), para. 48

შესაძლებლობა სისხლის პროცესში. "ზემოთქმულის გათვალისწინებით, ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს მხრიდან უმოქმედობის რამდენიმე საგულისხმო პერიოდს ჰქონდა ადგილი, ისევე როგორც პროცესების დაუსაბუთებელ გადადებას, სასამართლო ადგენს, რომ პროცესის გაჭიანურებული ხასიათი ძირითადად უნდა შეერაცხოთ მოპასუხე სახელმწიფოს სასამართლო ორგანოებს".[50] შესაბამისად, ჩაითვალა, რომ პროცესის ხანგრძლივობამ დაარღვია გონივრულ ვადაში განხილვის მოთხოვნა.

საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი ალიმენტის ოდენობასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით

საქართველოში ალიმენტის დანიშვნის საკითხებს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ალიმენტის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას კი - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი.

თუ მშობლები ვერ შეთანხმებიან შვილის სასარგებლოდ ალიმენტის ოდენობაზე, საკითხს გადაწყვეტს სასამართლო. სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის თანახმად, "ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე **შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში**. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო **მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას**."

საქართველოში რაიმე საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტით არ არის განსაზღვრული და არ მოქმედებს სასამართლოსთვის სახელმძღვანელო კალკულაციები, როგორ იანგარიშება მშობლის ან მშობლების შემოსავლიდან ალიმენტი, როგორ განისაზღვრება ალიმენტისთვის რელევანტური შემოსავალი, ბავშვების რაოდენობა და ასაკი რა მიმართებაშია ალიმენტის ოდენობასთან, საცხოვრებელი ადგილი როგორ გავლენას ახდენს ბავშვის მატერიალურ მდგომარეობაზე, უზრუნველყოფს თუ არა ალიმენტი ბავშვისთვის მშობლის თანასწორ ცხოვრების სტანდარტს, რა გავლენა აქვს ინფლაციას ალიმენტის ოდენობაზე და ასე შემდეგ. სასამართლოები ალიმენტის ოდენობას განსაზღრავენ 1214-ე მუხლი ზოგადი სტანდარტების საფუძველზე და არამარტო ერთგვაროვნების მიღწევაა რთული სასამართლო პრაქტიკაში, არამედ როგორც ქვემოთ განხილული

[50]CASE OF RISTIĆ v. SERBIA, (application no. 32181/08), 18 January 2011, par. 52.

საქმეები აჩვენებს, ალიმენტის ოდენობები გადაწყვეტილებაში ჩნდება სრულიად სპონტანურად, რაიმე ობიექტური კალკულაციის გარეშე.

მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ საქართველოს უზენაესის სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება. 2012 წლის გადაწყვეტილებაში[51] დედა ითხოვდა შვილის სასარგებლოდ დანიშნული 20 ლარიანი ალიმენტის გაზრდას 280 ლარით, ძირითადად იმ საფუძვლით, რომ ალიმენტის დანიშვნისას ბავშვის მამა იყო უმუშევარი, ხოლო სარჩელის აღძვრის მომენტში ის დასაქმდა ფოსტაში და ხელფასი გაუხდა 200 ლარი. მამა ამტკიცებდა, რომ უმუშევრობისას დაგროვილი ალიმენტის - 2 300 ლარის ასანაზღაურებლად, აიღო სესხი და ყოველთვიურად იხდიდა 70 ლარს მის დასაფარად. დამატებით ახალი ქორწინების ფარგლებში ჰყავდა ორი შვილი და მის კმაყოფაზე იყვნენ დედა და ცოლიც. შესაბამისად, მისთვის შეუძლებელი იყო ალიმენტის გაზრდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ბავშვის დედის მოთხოვნა და ალიმენტი გაზარდა 40 ლარამდე, ბავშვის ზრდასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდის გამო. სააპელაციო საამართლომაც გონივრულად და სამართლიანად ჩათვალა აღნიშნული თანხა.

უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ყოველთვიური ალიმენტი უნდა ყოფილიყო 60 ლარი. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მშობლებს აქვთ მათი შვილების მატერიალური უზრუნველყოფის მოვალეობა და ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისთვის "სასამართლო შეაფასებს ბავშვის საჭირობებს მისი ასაკისა და სხვა ინდივიდუალური ფაქტორების გათვალისწინებით, თითოეული მშობლის ოჯახურ და მატერიალურ მდგომაროებას (იმყოფება თუ არა მათ კმაყოფაზე ოჯახის ისეთი წევრი, რომელსაც დამოუკიდებლად თავის რჩენა არ შეუძლია), რის შედეგადაც დაადგენს **ალიმენტის** ობიექტურ ოდენობას, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანის რეალურ და აუცილებელ მოთხოვნილებებს.[52]"

სასამართლომ ჩათვალა, რომ რადგან მამა დასაქმდა ალიმენტის გაზრდაზე მოთხოვნა ნაწილობრივ საფუძვლიანი იყო. ვერ მტკიცდებოდა, რომ მამის ახალი მეუღლე შრომისუუნარო იყო და ამიტომ მის კმაყოფაზე უნდა ყოფილიყო. დამატებით, მამის ვალდებულებებს არ ამსუბუქებდა ყოველთვიური კრედიტის თანხაც, რაც წლების განმავლობაში დაგროვილი საალიმენტო დავალიანების დასაფარად იქნა აღებული "მხარის მიერ ძველი ვალდებულებების შეუსრულებლობა ამჟამდ არსებული მოვალეობების შესრულებისგან თავის არიდების საფუძველი ვერ გახდება."

ეს არგუმენტები, რა თქმა უნდა, გონივრულია, თუმცა, საერთოდ არ ფენს ნათელს იმას, რა კალკულაციის საფუძველზე მივიდა სასამართლო იმ დასკვნამდე, რომ ალიმენტის ოდენობა 60 ლარი უნდა გამხდარიყო. ასევე, არ არის ცხადი, თავის დროზე როგორ დაეკისრა უმუშევარ ადამიანს 20 ლარი ალიმენტის სახით, თუ სარწმუნოდ იქნა მიჩნეული ის, რომ მას შემოსავალი არ ჰქონდა. იგივე ხაზით, გაუგებარია, სააპელაციო

[51] საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე # ას-1299-1226-2012, 24 დეკემბერი, 2012

[52] იქვე

სასამართლომ რატომ გადაწყვიტა, რომ 40 ლარი იყო სამართლიანი თანხა და აკმაოფილებდა ბავშვის "რეალურ და აუცილებელ მოთხოვნილებებს".

შემთხვევითი რიცხვების განსაზღვრის მოდელი მეორდება უზენაესი სასამართლოს კიდევ ორ გადაწყვეტილებაში. მაგალითად, 2015 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება[53] ეხებოდა სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ მამისთვის ორი არასრულწლოვანი შვილი სასარგებლოდ დაკისრებული ალიმენტის ოდენობის - 140 ლარის შემცირებას. მამის მხრიდან არგუმენტი იყო ის, რომ მას, როგორც უმუშევარს არ გააჩნდა სტაბილური შემოსავალი. ასევე ყავდა დამატებით ორი არასრულოვანი შვილი. სააპელაციო სასამართლომ მამის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და თანხა შეამცირა 50-50 ლარამდე თითოეულ ბავშვზე. ალიმენტის ოდენობის შემცირება გაასაჩივრა დედამ და აღნიშნა, რომ ამ თანხით ბავშვების სათანადო მოვლა-პატრონობა იყო შეუძლებელი, განსაკუთრებით იმის გავალისწინებით, რომ დედა არ მუშაობდა, ის იყო სოციალურად დაუცველი და სახელმწიფოს მიერ გაცემული დახმარებით არჩენდა შვილებს.

მამის უმუშევრობის, აგრეთვე სხვა არასრულწლოვანი შვილების არსებობის გამო უზენაესმა სასამართლომ ალიმენტის ამგვარად შემცირება კანონიერად მიიჩნია. ამ შემთხვევაშიც, დაუსაბუთებელი და გაუგებარია, თუ ადამიანი უმუშევარია 100 ლარი საიდან უნდა გადაიხადოს - როგორ იანგარიშა სასამართლომ, რომ ეს თანხა ერთი მხრივ ბავშვების მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა და მეორე მხრივ, უმუშევარი ადამიანისთვის მარტივი გადასახდელი იყო. აქაც მსჯელობა, რომ ალიმენტი ბავშვის აუცილებელ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ჰაერში რჩება, რადგან სასამართლო არსად მსჯელობს, რა არის ეს აუცილებელი მოთხოვნები, რა არის საშუალო ოჯახური მეურნეობისთვის ერთ ბავშვის შენახვის ხარჯი და როგორ აკმაყოფილებს მას 50 ლარი. ანუ სამართლებრივი ტესტი ცალკე რჩება და გამოყვანილი ოდენობა მასთან დაკავშირებული არაა.

ზუსტად იგივე მეორდება 2016 წლის გადაწყვეტილებაში[54], სადაც მამა სამსახურის დაკარგვის გამო ითხოვდა 150 ლარიანი ალიმენტის შემცირებას 30 ლარით, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. გადაწყვეტილება დასაბუთდა იმით, რომ მამამ სამსახური დაკარგა, ხოლო დედამ დაიწყო მუშაობა. ორივე, რა თქმა უნდა, რელევანტური გარემოებაა, თუმცა, ისევ გაუგებარია, სამსახურის დაკარგვის და უშემოსავლობის პირობებში, 30 ლარიანი შემცირება როგორ აგვარებდა მამის პრობლემას. რეალურად სასამართლოს ოდენობაზე არ უმსჯელია: რაც მოითხოვა მამამ, ზუსტად იმ ოდენობით შეამცირა ალიმენტი, რითაც არალოგიკური გადაწყვეტილება მიიღო: თუ ადამიანს შემოსავალი არ აქვს, რაც შემცირების საფუძვლად ჩათვალა, ის ვერაფერს უნდა იხდიდეს, ვერც 120 ლარს, რაც სრულიად იგნორირებულია სასამართლოს მიერ.

---

[53] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება #ას-303-290-2015, 13 მაისი, 2015

[54] საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე #ას-1192-1121-2015, 22 იანვარი, 2016

აღსანიშნავია, რომ იგნორირებულია ის საკითხიც, თუ რატომ დაკარგა მამამ სამსახური, ხომ არ ჰქონდა ადგილი მისი მხრიდან მანიპულირებას ალიმენტის შესამცირებლად. თავისთავად, არ დასმულა კითხვა, რომელსაც დასვამდა აშშ-ს ზოგიერთი შტატის სასამართლო: როგორია მშობლის დასაქმების შესაძლებლობა, მისი განათლების, უნარების, შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ აქ განხილულია საქმეების ნიმუში ძალიან პატარაა, ის საკმაოდ ნათლად აჩვენებს იმას, რომ სასამართლოს არავითარ უხერხულობას არ უქმნის შემთხვევითი ციფრები ალიმენტის ოდენობის დადგენისას, რომელიც მოკლებულია რაიმე კალკულაციას, რაიმე ბმას ხარჯთაღრიცხვასთან, რაიმე ობიექტურ საფუძველს, რომ არაფერი ვთქვათ პრაქტიკის ერთგვაროვნებაზე, რაც უკვე აღარ არის პირველი რიგის პრობლემა.

ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში არსებულ ქაოსს ემატება ის, რომ სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონი ალიმენტის გადახდის დავალიანებისას გამოსაყენებელ ერთადერთ ზოგად მეთოდს ასახელებს - "გადახდევინება შეიძლება მოხდეს მოვალის ქონებიდან".[55] აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ აღმასრულებლის "არსენალში" არ არის რაიმე თანამედროვე, ინოვაციური, ხარჯთეფექტური მექანიზმი, რომლითაც ბავშვების სასიცოცხლო ინტერესების დროული დაცვა იქნებოდა შესაძლებელი, როგორიცაა გამოქვითვა შემოსავლის წყაროდან, ინფორმაციის შეგროვება აქტივების შესახებ, საიდანაც შეიძლება მოხდეს ანაზღაურება, პასპორტის ან ნებართვების შეჩერება, და ა.შ.

ამდენად, საქართველოს კანონმდებლობას, როგორც ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის, ისე მისი აღსრულების თვალსაზრისით ახასიათებს უკიდურესი აბსტრაქტულობა და სიმწირე, პრაქტიკული სტანდარტებისა და მექანიზმების შემოთავაზების მხრივ. ამის გათვალისწინებით, ზემოთ განხილული შედარებითი კვლევა ძალიან ნაყოფიერი საწყისი წერტილი იქნება გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების გზების დასახვისათვის.

დასკვნა

კვლევა ეხება ბავშვის ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისა და მისი აღსრულების საკითხებს. ამ მიზნით, აქ შესწავლილია: აშშ-ს, კანადის, გაერთიანებული სამეფოს (ჩრდილოეთ ირლანდიის გამოკლებით), საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ესპანეთის, პორტუგალიის, ლიეტუვას და ჩეხეთის რესპუბლიკის რელევანტური კანონმდებლობა. შედარებით კვლევაში გამოკვეთილი გარემოებების, მიდგომებისა და აღსრულების მექანიზმები განსაკუთრებით თვალსაჩინოს ხდის საქართველოს კანონმდებლობის შემდგომი განვითარების საჭიროებას, განსაკუთრებით იმის

[55] საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ, 16/04/1999, მუხლი 89

გათვალისწინებით, რომ კანონმდებლობის ზედაპირულობა ძალიან მძიმედ აისახება სასამართლო პრაქტიკაზე - ბავშვებისთვის ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა არის ქაოტური და ობიექტურ საფუძელს მოკლებული, მისი აღსრულებისთვის კი რაიმე სპეციალური, ხარჯთეფექტური და ინოვაციური მექანიზმი არ არის შემოთავაზებული.

იმის გათვალისწინებით, რომ როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, აქ საქმე ეხება განსაკუთრებით მოწყვლად კატეგორიას და მათ განსაკუთრებით მნიშვნელოვან, სასიცოცხლო ინტერესებს, მნიშვნელოვანია, ამ პრობლემების მოსაგვარებლად ნაბიჯების დროულად გადადგმა და საკანონმდებლო და აღსრულების რეფორმების გატარება, როგორც ალიმენტის ოდენობის, ისე აღსრულების მექანიზმების ნაწილში.

თბილისი
2022